№ 79
(11 228)
6 – 8 ოქტომბერი, 1998 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საჭადრაკო ოლიმპიადა

# ჯერ ყველაფერი წინ არის

**გასული 6 ტური 14-დან, ეს რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრია, ერთგვარი წინასწარი დასკვნების საშუალებასაც გვაძლევს, თუმცა საბოლოოდ საპრიზო ადგილების ბედი, როგორც შვეიცარიულ სისტემას სჩვევია, სულ უკანასკნელ მომენტში გადაწყდება. შეჯიბრების სპეციფიკურობის გამო, თითოეული ნახევარი ქულა ნაკრებს ხან რამდენიმე ადგილით წინ გადასწევს, ხან ღრმად დაახევინებს ხოლმე უკან.**

საქართველოს ნაკრები ქალთა შორის ჯერ კიდევ ვერ ამოქმედდა სრული ძალით. პირველი ორი შეხვედრის საკმაოდ მოკრძალებული ანგარიშით მოგების შემდეგ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: მესამე ტურში მაია ჩიბურდანიძე ისვენებდა, ჩვენები კი ვიეტნამის ნაკრებს ხვდებოდნენ. რაც ამ შეხვედრაში მოხდა, ამის ახსნა ძალიან ძნელია. უფრო სწორად, შედეგს ქალთა ყველა, აქამდე ჩატარებული ოლიმპიადის უდიდესი სენსაცია შეიძლება ეწოდოს. ვიეტნამელი მოჭადრაკეები საერთაშორისო ასპარეზზე ცნობილი არ არიან, მათგან მსოფლიოს უძლიერეს 50 მოჭადრაკე ქალთა „რეიტინგ-ლისტში" არავინ შედის, გოგონების „რეიტინგ-ლისტში" კი 18 წლის ჰოანგ ტჰონგ ტრანს მეთოთხმეტე ადგილი უჭირავს. და აი, ასეთ გუნდთან ჩვენმა ქალებმა სამივე პარტია წააგეს — 0:3. გაუგებარია. მართალია, შემდეგ სამ ტურში ჩვენმა ქალებმა გამოასწორეს მდგომარეობა: მათ ზედიზედ სძლიეს ვიეტნამის (3:0), ბოსნიისა და ჰერცოგოვინის (3:0) და პოლონეთის (2:1) გუნდებს. ახლა საქართველოს ნაკრებს 12,5 ქულა აქვს და პირველ ხუთეულშია.

ვაჟთა შორის ჩვენი გუნდი ცვალებადი წარმატებით იბრძვის. მას სამი მოგება, ერთი ყაიმი და ორი წაგება აქვს. უკანასკნელი მეექვსე

იხ. მე-6 გვ.

EURO 2000

**სასიამოვნო სიურპრიზი გულშემატკივრებს — ორივე მატჩს ტელევიზიით ვიხილავთ!**

იხ. მე-5 გვ.

## აქტუალური თემა

# სახელმწიფო ბიუჯეტი ქართულ სპორტს აკვანშივე მოხრჩობას უპირებს

### „შესაწირავი ბიუჯეტისთვის, სხვა არვინ არის, ბავშვების მეტი?"

ყოველი პატარა ერი განსაკუთრებული თავგამოდებით ილვწის, რათა მისი ქვეყნის სახელი, რაც შეიძლება მქუხარედ გადაწვდეს მთელ მსოფლიოს. ყველამ კარგად უწყის, რომ დღეს არაფერია იმაზე უფრო კეთილშობილური და მაღალზნეობრივი ამ მიზნის მისაღწევად, ვიდრე სპორტში მოპოვებული უმაღლესი წარმატება. სამწუხაროდ, ისეთი რამ, ჩვენი ერის ხასიათს, გენს და მაღალზნეობას რომ წარმოაჩენდეს დედამიწის ზურგზე, ახლა, ბევრი არაფერი გაგვაჩნია. ისევ და ისევ სპორტია უნიკალური საშუალება და იმედი. ოლიმპიური თამაშების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე თუნდაც ერთი სპორტსმენის ასვლა, თუნდაც ერთხელ ეროვნული დროშის აფრიალება და ჰიმნის აჟღერება უკვე იმის მაცნე და მაუწყებელია, რომ პლანეტა დედამიწაზე არსებობს პატარა ქვეყანა, პატარა ერი, რომელსაც საქართველო და ქართველები ჰქვია.

აი, ეს შეუძლია სპორტს. ჰოდა, ნაცვლად იმისა, გალატაკებულებმა ეროვნული სიამაყე რომ მაინც არ დავკარგოთ, ჩვენს არსებობას რომ მიზანი ჰქონდეს, რომ თავი რიხიანად გვეჭიროს სხვათა და სხვათა გვერდით, რომ მაძღრებს და „ძლიერებს ამა ქვეყნისა" თავი ტოლამხანაგად ვუგრძნობინოთ, სპორტს, ერთადერთ იმედს, არაფრად მიიჩნევენ ისინი, ვინც ქვეყნის ბიუჯეტს ქმნიან და განაგებენ. ვერა და ვერ იქნა, ამ ადამიანებმა ვერ გაითავისეს და ვერ შეაფასეს სპორტის მნიშვნელობაზე ქვეყნის პრეზიდენტისეული შეხედულება.

ბიუჯეტმა იმდენად მიზერული თანხები გამოჰყო ბოლო წლებში სპორტისათვის, რომ ათლეტთა პატრიოტიზმიც კი გააუფასურა — საქართველოში აღარავის უნდა ხელფასის თუ სტიპენდიის თვეობით ლოდინი, პატრიოტიზმის „ლიმიტიც" ამოიწურა, და უცხოეთში მიპატიჟება-გაყიდვაზე უარს აღარავინ ამბობს, ოღონდ მუშტარი იყოს, „მასალა" ჩალის ფასია. ახლა ქართველი ბავშვებიც კი გაუყიდეს ოდესღაც ჩვენს დამაქცევარ და სამარცხვინო გზას სტამბულისკენ. იყიდებიან ყმაწვილები და მამლუქდებიან. დედა სამშობლოში კი, სამწუხაროდ, ეს არავის აღარდებს, მით უფრო, არ აღაშფოთებს, ოღონდ თავადაც მცირე

იხ. მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქობულეთიდან – ჰოლანდიაში

მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველოს ნაკრების წევრი ველომრბოლი პირველად გამოვა მსოფლიოს პირველობაში. ეს პატივი წილად ხვდა ქობულეთელ ლევან მესხიძეს, რომელიც 17 წლისაა და „შევარდენის" ველოსკოლის აღსაზრდელია. შეგირდს თან გაჰყვა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ ზალატარიოვი. სპორტსმენი და მისი მწვრთნელი აჭარის სპორტის დეპარტამენტმა დააფინანსა.

### მილოცვა

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და კალათბურთის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ ამავე ფედერაციის პრეზიდენტს ***გიორგი ქათამაძეს.***

### წოდების მინიჭება

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის განვითარებისა და მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის და დაბადებიდან 60 წელთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიანიჭა საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ***დამერლანდ (დათო) დავითაიას.***

* * *

საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა საქართველოში ძალოსნობის განვითარებისა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ძალოსნობის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორს ***დავით ხიზანბარელს*** მიანიჭა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

## თვის საუკეთესო სპონსორი

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ რაც დრო გადის, უფრო მყარად იკიდებს ფეხს სპონსორთა ინსტიტუტი. თითქმის წესად იქცა საერთაშორისო შეჯიბრებებში სპორტსმენთა დაფინანსება თვით იმ ქალაქებისა და რაიონების მიერ, ვისაც ეს ათლეტები წარმოადგენენ. შედეგის გათვალისწინებით, სექტემბერში განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფოთელთა თანადგომა. ამ ქალაქს, ევროპის თასის გათამაშებაში თავისი ოთხი და ერთიც სხვა მოკრივე რომ არ დაეფინანსებინა, ჩვენი ქვეყანა სპორტის ამ სახეობაში არაერთ თვალსაჩინო მიღწევას კარგავდა.

„ლელომ" სწორედ ფოთელები, კერძოდ, ფოთის მერია, სცნო სექტემბრის საუკეთესო სპონსორად.

## თვის მონაგარი

# IX შემოდგომა სპორტშიაც შემოდგომაა, თუმცა...

დიახ, შემოდგომა სპორტშიაც შემოდგომაა და, როცა ბარაქას მწკრივში ვაწყობთ, თავში ადგილი აუცილებლად ჩვენს მოკრივეებს უნდა მივუჩინოთ. ფაქტობრივად, მათ დააგვირგვინეს კიდეც სექტემბერი და თამამად უნდა ითქვას, საამაყოდაც. ათენში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში მათ მიერ მოპოვებული წარმატება იმედს გვისახავს, რომ ჩვენში სპორტის ეს სახეობა არაერთ სიხარულს მოგვიტანს.

1998 წლის სექტემბერი ქართული სპორტის ისტორიაში შევა, როგორც ჩვენთვის სპორტის ახალ სახეობაში საერთაშორისო სარბიელზე პირველი ნაბიჯის გადადგმის ათვლისა და უმალვე სენსაციური გამოსვლის დაფიქსირების თარიღი. მხედველობაში გვაქვს სუმო, რომელიც მომავალში სპორტის ოლიმპიური სახეობა უნდა გახდეს. „ლელო" იუწყებოდა ჩვენების მიღწევაზე და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ევროპის პირველობაში შთამბეჭდავად გამოსვლა და კონტინენტის ნაკრებში ჩვენების მოხვედრა, იოლი მისაღწევი საქმე სულაც არ იყო.

წარმატებათა ნუსხას ზრდიან ჩვენი სამბისტები. ახალგაზრდებს შორის ევროპის პირველობაზე საქართველოს წარგზავნილთა შედეგები გვაიმედებს, რომ ეროვნულ ნაკრებს, რომელმაც შარშან მსოფლიო ჩემპიონობა იზეიმა, ღირსეული რეზერვი ეზრდება.

სპორტის გულშემატკივრებს უდავოდ დიდი სიხარული მიანიჭა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის პირველსავე შესარჩევ მატჩში ალბანელებთან ჩვენი ეროვნული ნაკრების შინ მიღწეულმა გამარჯვებამ. გასულ თვეში საერთაშორისო ტურნირებში შთამბეჭდავად იასპარეზა მხატვრული ტანვარჯიშის რამდენიმე ქართველმა ოსტატმა და, საპრიზო ადგილზე გასვლის მიუხედავად, როგორც უცხოეთის პრესა ადასტურებს, მათ მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს.

ორივე მატჩში ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირში, თასების თასზე, ჩვენმა „დინამომ", შესარჩევ მატჩში, დასანანი მარცხი იწვნია და ქომაგებს პესიმიზმის საფუძველი მისცა — დინამოსთვის „ვილემ -II" გადაულახავი ზღუდე აღმოჩნდა.

სექტემბერში ვერ განახლდა საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში, თუმცა საბოლოოდ დათქმული თარიღი, კლუბების მხრივ მთელი რიგი კომპრომისების შედეგად იქცა რეალობად და სექტემბერმა კალათბურთელთა სტარტი, ოქტომბერს გადაულოცა.

სექტემბრის მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეების სრული კრახი მსოფლიო ჩემპიონატში. ორი — VI, თითო VIII, და X ადგილები დაგვეთანხმებით შეუფერებელზე შეუფერებელია საქართველოს ფალავნებისთვის, მანამდე შინ ხელმოცარულები დაბრუნდნენ ბერძნულ-რომაული სტილის ფალავნებიც. მათ ერთი IV, ერთი VII, ორი VIII ადგილები ხვდათ წილად.

1 სექტემბერს შეუდგა მუშაობას ჩვენი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ახალი მოადგილე, ცნობილი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლერი ხაბელოვი. ამ დანიშვნას ერთსულოვნად მიესალმა ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით მოჭიდავეთა სამყარო.

სექტემბერმა უდიდესი სიხარული მოუტანა ნორჩებს. ვაკეში სრული დატვირთვით ამოქმედდა ხელოვნურ საფარიანი მინი-ფეხბურთის მოედანი განათებით, რომელიც მალე გადაიხურება კიდეც.

ბაკურიანელებს და ყველას, ვისაც ეს ლამაზი კურორტი უყვარს, ალბათ, მისი აღორძინების ოცნება ამ საუკუნეშივე აუხდებათ — სექტემბრის ბოლოს ჩვენთან სტუმრად ჩამოსულმა ზამთრის სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჯან-ფრანკო კასპერიმ დახმარება — თანადგომა აღუთქვა ჩვენს ფედერაციას და ქვეყნის პრეზიდენტს.




ჩახნაშვილ (მარცხნივ) - მანაგაძის წყვილი

## ტურნირიდან ტურნირზე – თბილისიდან ბათუმში...

*ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე დამთავრდა ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირი. ერთეულთა თანრიგის გადამწყვეტ მატჩში რუსეთელები ელენა მაკაროვა და ევგენია კულიკოვსკაია შეხვდნენ ერთმანეთს. ბრძოლა მართლაც უშეღავათო და ფინალის*

იხ. მე-2 გვ.

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი IX ტური

უნივერსიტეტი (თბილისი) – არსენალი (თბილისი) 4-1
კოლხეთი-1913 (ფოთი) – სიონი (ბოლნისი) 4-0
ოდიში (ზუგდიდი) – გორდა (რუსთავი) 1-0
დინამო (ბათუმი) – მერანი-91 (თბილისი) 0-0
ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – დინამო (თბილისი) 0-2
იბერია (სამტრედია) – სამგურალი (წყალტუბო) 3-1
ტორპედო (ქუთაისი) – გურია (ლანჩხუთი) 3-0
ლოკომოტივი (თბილისი) – დილ (გორი) 0-0

### სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. (-) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 6 | 2 | 0 | 23-7 | 20(-4) |
| დინამო (თბ.) | 7 | 6 | 1 | 0 | 28-5 | 19(-2) |
| დილა | 9 | 5 | 2 | 2 | 11-7 | 17(-10) |
| ლოკომოტივი | 9 | 4 | 5 | 0 | 13-4 | 17(-10) |
| იბერია | 9 | 5 | 0 | 4 | 20-18 | 15(-12) |
| კოლხეთი-1913 | 8 | 4 | 2 | 2 | 16-9 | 14(-10) |
| დინამო (ბთ) | 9 | 3 | 4 | 2 | 17-10 | 13(-14) |
| ოდიში | 8 | 4 | 0 | 4 | 6-11 | 12(-12) |
| ვიტ-ჯორჯია | 9 | 3 | 1 | 5 | 10-11 | 10(-17) |
| მერანი-91 | 9 | 2 | 4 | 3 | 7-11 | 10(-17) |
| არსენალი | 9 | 2 | 3 | 4 | 6-16 | 9 (-18) |
| თსუ | 9 | 2 | 2 | 5 | 8-12 | 8 (-19) |
| სამგურალი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-21 | 7 (-20) |
| გურია | 9 | 2 | 1 | 6 | 8-23 | 7 (-20) |
| გორდა | 9 | 1 | 4 | 3 | 5-6 | 7 (-20) |
| სიონი | 9 | 1 | 2 | 6 | 10-24 | 5 (-22) |

## სახელმწიფო ბიუჯეტი ქართულ სპორტს აკვანშივე მოხრჩობას უპირებს

(პირველი გვერდიდან)

სარგებელი ნახონ და მოზარდის ბედს ყველა ინსტანციაში უბიძგებენ და აგდებენ ბედის სასწორზე.

სულ მალე, თუ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი უცვლელი დარჩა, ქართული სპორტის მემკვიდრეობას, მის ტრადიციებს, და დიდებას საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ და გამოვიტიროთ — ქვეყნის, საკუთარი სამშობლოს ბიუჯეტი მომავალ მამულიშვილებს, ჭეშმარიტ პატრიოტებს — აკვანშივე მოხრჩობას უპირებს, არტახების უკიდურესობამდე მოჭერასაც აღარ დასჯერდნენ. ამას ქვეყნის მომავალზე დაფიქრებული კაცი თუ ხელისუფლება, ნამდვილად არ იზამს. მოკლედ, მომავალი წლიდან ბიუჯეტი დაფინანსებას უხსნის აბსოლუტურად საქართველოში განათლების სისტემის ყველა რესპუბლიკურ სპორტულ სკოლას. არადა, ზოგიერთი მათგანი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნისაა. ამ სკოლებში იზრდებოდნენ ქვეყნის, ევროპის, მსოფლიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები. პოეტის სტრიქონების პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, „ბიუჯეტისათვის შესაწირავი სხვა არავინ არის, ბავშვების მეტი?" ბიუჯეტი, არა ხსნა და იმედი, არამედ — მესაფლავე? ასეთი რამ, მხოლოდ პარადოქსებით აღსავსე ისეთ ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, როგორიც მართლაც ბედკრული ჩვენი სამშობლოა.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს განათლების სისტემაზე გაწაწყენებული ბიუჯეტის მამები გულის ჯავრს იყრიან და არც კი იციან, „რასა სჩადიან". თუ ერთი უწყება და იქ ბიუჯეტის ხარჯვის სისტემა არ მოგწონს, გამოსავალი უნდა ეძიო, ასეთი მარტივი და დამღუპველი გზა არ უნდა აირჩიო. არის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც პასუხს აგებს ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე. იქნებ ვინმე მართლაც დააფიქრა და დააეჭვა იმან, რომ თითქმის იმდენივე თანხას იძლეოდა ბიუჯეტი განათლების სისტემაში, რამდენიც, საერთოდ, სპორტის დეპარტამენტისთვის გამოიყოფოდა. თუ დეპარტამენტი და განათლების სისტემა ლამის თანაბარ წილს იღებდნენ დედაბიუჯეტიდან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთ-ერთი მათგანისათვის ეს ბევრი იყო. პირიქით, ერთნაირად არასაკმარისი იყო ორივესთვის. ახლა კი... ახლა, განათლების სისტემაში, როგორც ნახეთ, სპორტის აღსასრულის დღე ახლოვდება.

თუ ბიუჯეტს, განათლების სისტემაში გახარჯული თანხების კონტროლი უძნელდება, და ფიქრობს, რომ იგი ბოლომდე მიზნობრივად არ იხარჯება, მაშინ იგივე თანხა სპორტის დეპარტამენტს უნდა გამოუყოს, ფინანსური ბერკეტი კი ერთ ორგანიზმად შეკრავს ქართულ სპორტს, რეზერვების მომზადება, გარდამავალი ეტაპი და დიდი სპორტი ერთიან, მწყობრ სისტემად ჩამოყალიბდა, რაზედაც მუდამ იყო ლაპარაკი, მაგრამ გადაჭრა არ ეღირსა. საინტერესოა, ახლა მაინც რატომ არ შეუძლია დამოუკიდებელ ქვეყანას, დამოუკიდებლად მიიღოს ეროვნული სპორტის სასიკეთო გადაწყვეტილება?

ერთი სიტყვით, ცხოვრებამ მკაცრი გამოცდა მოგვიწყო და დასანანია, რომ მის სიმკაცრეს მოზარდთა ინტერესები, ბავშვთა სპორტი, საერთოდ, ქართული სპორტის საყრდენ-ბალავარი ეწირება, მის თავანკარა წყაროს დაშრეტა ემუქრება.

ქვემოთ გთავაზობთ წლეულს, ზაფხულში, მოსკოვში გამართული მსოფლიო პირველ ახალგაზრდულ თამაშებში მონაწილე ქვეყნების მიერ მოპოვებული მედლებისა და შესაბამისად მათ მიერ დაკავებული ადგილების ცხრილს. კარგად დააკვირდით და დაიხსომეთ, შესაძლებელია ეს იყოს ჩვენი ჭაბუკებისთვის პირველი და უკანასკნელი თამაშები, რადგან ბიუჯეტი ყელში სწვდა საქართველოს ჯანსაღ, ფიზიკურად და სულიერად მხნე თაობის აღზრდას. ვინც ამ გადაწყვეტილებას მოაწერს ხელს, ვეკითხებით: ცხოვრების კიდევ რომელ სფეროში შეგვიძლია მსოფლიოში დავდგეთ უძლიერესი და მრავალრიცხოვანი ერების გვერდით და ბევრ მათგანს გავუსწროთ კიდეც? განა ეს შემოთავაზებული ცხრილი არაფერს გეუბნებათ?

დავფიქრდეთ!

თენგიზ გაჩეჩილაძე

### მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები

## ქვეყნები, ადგილები, მედლები

| ქვეყნები | მედლები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | ქვეყნები | მედლები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 124 | 64 | 29 | 31 | ჩეხეთი | 3 | - | 1 | 2 |
| უკრაინა | 52 | 10 | 19 | 23 | საფრანგეთი | 3 | - | 3 | - |
| ჩინეთი | 32 | 21 | 7 | 4 | დანია | 2 | 2 | - | – |
| პოლონეთი | 26 | 7 | 10 | 9 | ირლანდია | 2 | 2 | - | - |
| ბელარუსი | 25 | 5 | 8 | 12 | ავსტრალია | 2 | - | 1 | 1 |
| საქართველო | 17 | 2 | 4 | 11 | ყირგიზეთი | 2 | - | 1 | 1 |
| ბრაზილია | 16 | 5 | 5 | 6 | მოლდოვა | 2 | - | 1 | 1 |
| სამხრეთ აფრიკა | 15 | 4 | 5 | 6 | ჩილე | 2 | - | 1 | 1 |
| იტალია | 15 | 1 | 6 | 8 | შვეცია | 2 | - | 1 | 1 |
| კორეა | 13 | 6 | 2 | 5 | ბარბადოსი | 2 | - | - | 2 |
| ყაზახეთი | 10 | 2 | 5 | 3 | ეგვიპტე | 2 | - | - | 2 |
| კსდრ | 10 | 1 | 6 | 3 | მალაიზია | 2 | - | - | 2 |
| უზბეკეთი | 10 | 1 | 3 | 6 | ესტონეთი | 2 | - | - | 2 |
| რუმინეთი | 8 | 2 | 2 | 4 | სირია | 1 | 1 | - | - |
| ჩინეთის ტაიბეი | 8 | 1 | 2 | 5 | უგანდა | 1 | 1 | - | - |
| კუბა | 7 | 6 | 1 | - | ფინეთი | 1 | 1 | - | - |
| საბერძნეთი | 7 | 3 | 1 | 3 | ბელგია | 1 | - | 1 | - |
| გერმანია | 7 | 1 | 4 | 2 | ბულგარეთი | 1 | - | 1 | - |
| აშშ | 7 | 1 | 1 | 5 | ჰონკონგი | 1 | - | 1 | - |
| ავსტრია | 6 | - | 3 | 3 | ლატვია | 1 | - | 1 | - |
| სომხეთი | 5 | 2 | 3 | - | მექსიკა | 1 | - | 1 | - |
| ლიტვა | 5 | 2 | 2 | 1 | მონღოლეთი | 1 | - | 1 | - |
| ირანი | 5 | 2 | 1 | 2 | ნამიბია | 1 | - | 1 | - |
| ესპანეთი | 5 | - | 3 | 2 | თურქეთი | 1 | - | 1 | - |
| ხორვატია | 5 | - | 3 | 2 | ვიეტნამი | 1 | - | - | 1 |
| დიდი ბრიტანეთი | 4 | 2 | 1 | 1 | კატარი | 1 | - | - | 1 |
| აზერბაიჯანი | 4 | 1 | 2 | 1 | კენია | 1 | - | - | 1 |
| არგენტინა | 4 | 1 | - | 3 | კვიპროსი | 1 | - | - | 1 |
| ისრაელი | 4 | - | 1 | 3 | ლუქსემბურგი | 1 | - | - | 1 |
| ეთიოპია | 3 | 1 | 1 | 1 | სლოვაკეთი | 1 | - | - | 1 |
| ნიდერლანდები | 3 | 1 | - | 2 | თურქმენეთი | 1 | - | - | 1 |
| იაპონია | 3 | 1 | - | 2 | იუგოსლავია | 1 | - | - | 1 |
| უნგრეთი | 3 | - | 3 | - | ---------------- | | | | |
| კანადა | 3 | - | 3 | - | სულ | 522 | 164 | 161 | 198 |

## რიგში ჩადექით მოჭიდავეებო, მოკრივეებო, მოფარიკავეებო, ძალოსნებო... – ბაკურიანში სპორტდარბაზი კეთილმოეწყო

გამგებლის სპორტული პროფილი

კოტე მიქაბერიძე დიდი ხანია არ გვენახა. ყოველ შემთხვევაში, იმდენი მაინც, რაც ბაკურიანსაც მისწვდა არეულობა, ნგრევა და ქაოსი. მერე, ჩვენი ქვეყნის ამ უმშვენიერეს საზამთრო და საზაფხულო კურორტზე, სიჩუმემ დაისადგურა, ადამიანები გაუცხოვდნენ. დაბის კაცები კი, ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა და ნდობას იმსახურებდა, ერთთავად იმას ცდილობდნენ, ადრინდელი იერი დაებრუნებინათ ბაკურიანისთვის, აღმდგარიყო ნდობა ადამიანთა შორის, მშვიდობა, სიმშვიდე კვლავ ექციათ ზამთარ-ზაფხულ ამ კურორტზე დამსვენებელთა მოზღვავების საწინდრად.

განათლებით სპორტული მუშაკი კოტე მიქაბერიძე, ერთი მათგანი იყო, ვინც სიტყვით და საქმით ყველაფერს აკეთებდა მშობლიური ბაკურიანის ძველი პროფილის დასაბრუნებლად. დაბელებს უყვართ ეს კაცი და აკი მხოლოდ მას ანდეს ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ მომენტში თავიანთი წინამძღოლობა — შეცვალა უდროოდ დაღუპული ბაკურიანის გამგებელი, კოტე მიქაბერიძის სასარგებლოდ, დაბელებს მხარი დაუჭირა რაიონის ხელმძღვანელობამ.

— აქაური კაცი ვარ, როგორ შეიძლება მამულზე, ჩვენს ხალხზე გული არ შემტკიოდეს, ყველანაირად ვცდილობ ჩემს ბაკურიანელებს ნდობა გავუმართლო — ამბობს კოტე მიქაბერიძე.

ერთად მოვინახულეთ ნაცნობი ადგილები, სპორტული ბაზები, რომელთა უმრავლესობა გაპარტახებულია, ორიოდე ობიექტზე კი სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და მაინც, წლეულს, ზამთარში, თურმე ბაკურიანი ძველ დროს მოაგონებდათ. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მიიღეს დამსვენებლები, ზაფხულში კი ბანაკებიც მუშაობდა.

— ადრე ბაკურიანში ერთი საშუალო სკოლა იყო და რამდენიმე სპორტსკოლას აკმაყოფილებდა კონტინგენტით, ახლა სპორტსკოლები, ცხადია, აღარ იქნება, საშუალო სკოლის საქმე როგორღაა — ვეკითხებით მასპინძელს და უმალვე გვირჩევს „გაგონილს ნანახი ვამჯობინოთ".

— სწავლას ჩვენი 400-მდე მოსწავლე ხვალიდან შეუდგება. სკოლის შენობაში ერთი ოთახიც არ იყო მშრალი, ყველგან წყალი ჩამოდიოდა — ამბობს სკოლის დირექტორი სოსო მაისურაძე. მაგრამ, გარდა სახურავის შეცვლისა აქ სხვა სამუშაოებიც ჩაუტარებიათ. ბრწყინვალედაა შეკეთებული სპორტული დარბაზი. ასე რომ, ჩვენს ნაკრებ გუნდებს, მუდამ ბაკურიანში რომ სურდათ შეკრების ჩატარება, მაგრამ უდარბაზობას უჩიოდნენ, ამიერიდან რიგში დგომა მოუწევთ დარბაზის დასაბევებლად მოჭიდავეებს, მოკრივეებს, მოფარიკავეებს, ძალოსნებს, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებს. აქვე იმუშავებს სტომატოლოგიური კაბინეტიც. ცდილობენ მოაგვარონ საქვაბით გათბობის საკითხი.



კოტე მიქაბერიძე (მარცხნივ) და სოსო მაისურაძე ახალგარემონტებულ დარბაზთან

— რაკი სკოლები აღარ მუშაობენ, ვეტერანი სახელოვანი კობა

იხ. მე-6 გვ.

## სენაკში – ჟ. შარტავას ტურნირზე

საქართველოს ეროვნული გმირის ჟ. შარტავას ხსოვნის III ტურნირზე კარატე-დოს ფედერაციამ და „მოქალაქეთა კავშირმა" თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის 150-ზე მეტი უძლიერეს კარატისტს მოუყარა თავი. შეჯიბრება ჟ. შარტავას მშობლიურ რაიონში ნამდვილ სპორტულ ზეიმად იქცა და ჩატარდა მაღალრაინდული სულისკვეთებით, როგორც ეს თვით ჟიული შარტავას სახელს და ხსოვნას შეეფერება.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: ლევან გახარია (8-9-წლიანებში), ლევან ჯლარყავა (10-11), ბადრი კერძაია (12-13), გიორგი გორდაძე (14-15), კონდრატე გაბისონია (16-17); უფროსი ასაკი (წონითი კატეგორიების მიხედვით): შალვა მახვილაძე (65 კგ), გოჩა ფირცხალავა (75), დავით ქვანია (80). გოგონები. უფროსი ასაკი — შორენა შენგელია. **კატა.** ბიჭები (13 წლამდე) — დათო ქელიძე, 17 წლამდე — ლევან ნიკოლაძე, უფროსებში — შალვა მახვილაძე. გოგონები. უფროს ასაკში — შორენა შენგელია.

### წოდების მინიჭება

*სპორტის დღესთან დაკავშირებით საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისა, ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭათ:*

**გიორგი მამალაძეს** — საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, 35-ე საშუალო სკოლის მწვრთნელს;
**ვაჟა მერკვილაძეს** — ქ. ტყიბულის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;
**თენგიზ ნავერიანს** — ქ. მარნეულის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს;
**ზაურ სიდამონიძეს** — სპორტის ვეტერანს, ქ. დუშეთში და დუშეთის რაიონში ჩოხიანი ჭიდაობების ფუძემდებელს, დაბადებიდან 60 წელთან დაკავშირებით;
**მამია ტუღუშს** — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს;
**რევაზ ჩიხლაძეს** — ქ. ზუგდიდის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს.

*სპორტის დღესთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა:*

**ირაკლი ზურაბიანს** — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტული სკოლის მწვრთნელს;
**ვლადიმერ ზურაბიანს** — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპორტული სკოლის მწვრთნელს;
**გურამ გულადიშვილს** — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის მწვრთნელს;
**გურამ მოდებაძეს** — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" უფროს მწვრთნელს ძიუდოში;
**ზურაბ კახაბრიშვილს** — საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მწვრთნელს, ნაკრები გუნდის ექიმს;
**შალვა ბაგაურს** — სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის უფროს მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში;
**ბერდია გუგავას** — სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარეს (ძიუდო);
**ნუგზარ კაპანაძეს** — საქართველოს კალათბურთის ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს.

### «ლელოს» მატიანე

## ვინ იყო 90 წლის წინათ თბილისის ჩემპიონი?

1959 წელს „ფიზკულტურა და სპორტის" მიერ გამოცემულ საველოსიპედო ცნობარში (ავტორი პ. ი. სტეპანოვი) ვკითხულობთ: „საუკუნის დასაწყისში შეწყვიტა არსებობა თბილისის მოყვარულ-ველოსიპედისტთა საზოგადოებამ. ადგილობრივი ტრეკი 1906 წელს ველოსიპედის სახელოსნოს მფლობელის საკუთრებად იქცა. თავიდან იგი ტრეკზე თავისი ფირმის სახელით აწყობდა შეჯიბრებას, შემდეგ კი „თბილისის ველოსიპედისტთა საზოგადოების" სახელით მუშაობდა. ეს საზოგადოება ერთგვარი დაბრუნება გახლდათ, მისი მეორე ცხოვრება.



ადგილობრივ მრბოლელთაგან საუკეთესონი იყვნენ ლადო კავსაძე (შემდგომში გამოჩენილი მომღერალი — რედ.) — 1907 წლის თბილისის ჩემპიონი. 1908 წელს კი ჩემპიონობა მოიგო ნ. გაბრიელოვმა. მანვე 1909 წელს მოიპოვა „კავკასიის ჩემპიონის" სახელი...

„ლელოს" 1953 წლის 24 მაისის ნომერში ვკითხულობთ, რომ გაბრიელოვი „მონაწილეობდა ველომრბოლელთა შეჯიბრებაში მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში, ოდესაში, ტაგანროგში, ტაშკენტში და სხვა შეჯიბრებებში საუკეთესო ტექნიკის გამოვლინებისთვის მიღებული აქვს 265 მედალი, აქედან 180 ოქროსი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

### ატარებენ კონკურსს „ოლიმპიური ხელოვნება და სპორტი-2000"

**მონაწილენი:** ჩვენი ქვეყნის ხელოვნების დარგის სტუდენტები და ეროვნული სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციის წევრი სპორტსმენები.

**მასალები:** კონკურსზე დაიშვება ნამუშევართა ორი კატეგორია:

ა) სკულპტურა

ბ) გრაფიკა (ნახატები, ნახაზები, გრავიურა და ა.შ.).

მასალის ზომები არ უნდა აღემატებოდეს:

ა) გრაფიკული ნამუშევრებისათვის 2X1,5 მ. ჩარჩოს გათვალისწინებით

ბ) სკულპტურისათვის შეფუთვის გათვალისწინებით აგრეთვე 2X1,5 მ.

წონა არა უმეტეს 500 კგ.

წარმოდგენილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმში. ჟიური შეარჩევს ორივე კატეგორიიდან სამ-სამ საუკეთესო ნამუშევარს, რომლებიც გაიგზავნება სოკ-ში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის.

ორივე კატეგორიაში ცალ-ცალკე დაწესებულია შემდეგი პრიზები:

**პირველი პრიზი** — 30000 აშშ დოლარი და დიპლომი
**მეორე პრიზი** — 20000 აშშ დოლარი და დიპლომი
**მესამე პრიზი** — 10000 აშშ დოლარი და დიპლომი.

5-5 დამატებითი დიპლომი, ხოლო ყველა დანარჩენ მხატვრებს გადაეცემათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები და მათ ნამუშევრებს შეიტანენ კატალოგში.

ნამუშევრების წარმოდგენა ხდება 1999 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი, 65). გამოფენა მოეწყობა 1999 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

კონკურსის დებულების დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეგიძლიათ სეოკ-ის ოფისში, ან ტელეფონით: 95-20-79, 95-34-91.

## ვეძებოთ სირცხვილიდან თავდასაღწევი გზა

### ტორპედო (ქუთაისი) – გურია (ლანჩხუთი)

რიონისპირელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე კი აკლდათ, მაგრამ ეს მათ არ დამჩნევიათ ლანჩხუთელებთან პაექრობისას. გივი კილაძის სახელობის სტადიონის მინდორზე ერთი გუნდი თამაშობდა, დომინირებდა და ჩანდა. საკმარისი იყო ქუთაისელებს ოდნავ მოემატებინათ სისწრაფისთვის, რომ მყისვე საგოლე მომენტები იქმნებოდა „გურიას" კართან, რომელიც მეტად უსუსურად გამოიყურებოდა. ქუთაისის „ტორპედოს" დარად, საქართველოს წამყვანი კლუბებისთვის ამგვარი მატჩები არაფრის მომტანია. დროა, ვიფიქროთ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გუნდების შემცირებაზე, რათა მას მეტი ეშხი და დაძაბულობა შევმატოთ და კიდევ იმიტომ, რომ ევროპაში წლევანდელივით სამარცხვინოდ აღარ წარმოვაჩინოთ ჩვენი საკლუბო ფეხბურთი.

მიხეილ ქორქოლიანი,
„ლელოს" საკ. კორ.

## ხშირად ნარუმატებლობა მსაჯს ბრალდება

### იბერია (სამტრედია) – სამგურალი (წყალტუბო)

იმერული დერბის პირველი ტაიმი სტუმართა უპირატესობით წარიმართა, რასაც ჯანაშია – ხაჭაპურიძე – ფაიქიძის საგოლე კომბინაცია მოჰყვა. შეხვედრის ასეთმა დებიუტმა სამტრედიელები შეაგულიანა და ისინი მეტი შემართებით ათამაშდნენ. „იბერიას" გააქტიურებამ მხოლოდ ტაიმის ბოლო წამებზე გამოიღო შედეგი – ჩომახიძემ ულამაზესი საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ნახევარში მასპინძლები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ 77-ე წუთამდე ხიფათის შექმნას სტურუას კართან ვერ ახერხებდნენ. ივეჩიანის გოლმა სტუმართა გულისწყრომა გამოიწვია – აქაოდა, ლაინსმენმა სამტრედიელ ფორვარდზე თამაშგარე არ დააფიქსირაო. ასეა თუ ისე, მეორე გაშვებული ბურთის შემდეგ „სამგურალი" ფსიქოლოგიურად გატყდა, გუნდის მექანიზმი მოიშალა, რითაც „იბერიამ" ისარგებლა კიდეც – ჩომახიძემ ლამაზ გარღვევას საგოლე პასიც მიაყოლა თ. გიგიაძის მისამართით.

გიორგი მინდელი,
„ლელოს" საკ. კორ.

## ფიქრები ფეხბურთის მომავალზე

### ჰანს–პეტერ ბრიგელი (გერმანია)

***გამოჩენილი მცველი პეტერ ბრიგელი 1980 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი, 1982 და 1986 წლებში კი მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი. შემდეგ იგი ჩემპიონატებს ესწრებოდა როგორც დამკვირვებელი.***

— ახალი მსოფლიო ჩემპიონის, საფრანგეთის ნაკრების მაგალითმა ნათლად გვიჩვენა, რომ დღეისათვის შუა ხაზის მოთამაშეების ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ნახევარმცველებმა სამუშაოს მთელი კომპლექსი უნდა შეასრულონ, რაც მეტოქის კარის იერიშსაც უკავშირდება და საკუთარის დაცვასაც. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი მოთამაშეა ამ ხაზზე, ოთხი, ხუთი თუ ექვსი, ყ[illegible]ა შემთხვევაში ისინი ვალდებუ[illegible] არიან უნივერსალები იყვნენ. ემე ჟაკემ ასეთი შემსრულებლები ზარჯვედ შეარჩია. ვნახეთ, რომ პეტი ან დეშამი წამდაუწუმ წინ იჭრებოდნენ ხოლმე, ზიდანი კი დაცვაში თამაშობდა. ზიდანი პლეიმეიკერის ახალი ტიპია, რომელსაც მინდორზე მხოლოდ შემოქმედებითი თამაში როდი შეუძლია. ამასთან, თუკი მეტოქე ზიდანის ბრძოლიდან გამოთიშვას ახერხებდა, მის ფუნქციებს პარტნიორ[illegible]პი ასრულებდნენ. სწორედ ამიტომ გახდნენ ფრანგები მსოფლიო ჩემპიონები. არგენტინელებმა ამიტომაც ასეთ მაღალ მიზანს ვერ მიაღწევს — ორტეგა დაცვით სამუშაოს თითქმის არ ასრულებდა. უნივერსალიზმი არც ბრაზილიელ ნახევარმცველებს ჰქონდათ.

— შუა ხაზის უკლებლივ ყველა მოთამაშის ჩართვა დაცვით ოპერაციებში საუკეთესო ნაკრებებს საშუალებას აძლევდა დაცვის ორი ზღუდე შეექმნათ. კარგად გამოიკვეთა სისტემა 4-4-2-ის უპირატესობა, როცა ორი განაპირა მცველი, ბურთს მეტოქე რომ ფლობდა, ნახევარმცველად გადაიქცეოდა. ასე თამაშობდნენ ტიურამი და ლიზარაზიუ საფრანგეთის ნაკრებში, კაფუ და რობერტო კარლოსი — ბრაზილიელებში. აი, გერმანელებს კი ამ მხრივ საქმე ცუდად ჰქონდათ: ჰაინრიხისა და ციგეს მზადყოფნა არასაკმარისი იყო, ისევე, როგორც ცენტრალური ნახევარმცველების ჰესლერისა და მიოლერის. უკეთესი კონდიცია რომ ჰქონოდათ, გერმანელები ნახევარფინალამდე მიაღწევდნენ და შემდეგ აღარ განიხილავდნენ ბერტი ფოგტსის ნაკრების სათავეში დარჩენის საკითხს.

### „ფოგტსი გერმანული ფეხბურთის კრახის სიმბოლოა"

**რაც უფრო ხშირად იგონებენ გერმანელი გულშემატკივრები უღიმღამო ბერტი ფოგტსს, მით უფრო მეტ იმედებს ამყარებენ ერიხ რიბეკზე, რომელმაც, მათი აზრით, უნდა გამოასწოროს მდგომარეობა. „ფოგტსი გერმანული ფეხბურთის კრახის სიმბოლოა" — წერს გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ" და იქვე აქებს ახალ ხელმძღვანელს. აღინიშნა ერთი თავისებური ფაქტიც: თურმე 61 წლის რიბეკს ბოლო ორი წლის მანძილზე არავითარი დამოკიდებულება აღარ ჰქონია პროფესიულ ფეხბურთთან და ცხოვრობდა, როგორც პენსიონერი. „მე არავითარ შემთხვევაში აღარ დავთანხმდებოდი მემუშავა რომელიმე საკლუბო გუნდში, მაგრამ ნაკრები სხვა რამაა".**

## საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი IX ტური

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

**უნივერსიტეტი (თბილისი) – არსენალი (თბილისი) 4-1**
**მცხეთა. „არმაზის" სტადიონი.**
***თსუ:*** ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, ვ. ღუდუშაური, ებრალიძე, ცომაია, კაკუბავა (ნინუა, 77), მაღრაძე, წიტაიშვილი (ო. სულაძე, 86), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (კ. სვანიძე, 88).
***არსენალი:*** ჩლაიძე, ფირცხალავა, ყუფარაძე, ვ. გველესიანი (გ. სულაძე, 69), ლაცაბიძე, მ. მაისურაძე (გამზარდია, 77), ზირაქიშვილი, ლომიძე, ლ. კორღალიძე (ხოსროშვილი, 57), კაკაშვილი, ტარიელაშვილი.
***გოლები:*** 1-0 როსტიაშვილი (30), 1-1 ზირაქიშვილი (38), 2-1 კაკუბავა (51), 3-1 წიტაიშვილი (80, პენ.), 4-1 ებრალიძე (88).
***გააფრთხილეს:*** გველესიანი, ლაცაბიძე, ჩლაიძე, როსტიაშვილი.
***მსაჯი:*** ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

**ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – დინამო (თბილისი) 0-2**
**მცხეთა. „არმაზის" სტადიონი.**
***ვიტ-ჯორჯია:*** ჰურაძე, მენთეშაშვილი, ჭანკვეტაძე, ჯ. მუჯირი, დოლიძე (ცვიციანი, 63), დვალიშვილი, გვაზავა, მაისურაძე, ნოზაძე, გოჩაშვილი (ენუქიძე, 67), პეტრიაშვილი (ბოკერია, 35).
***დინამო:*** გვარამაძე, მიქაძე, ჭელაძე, დიდავა, მუჯირი (კვარაცხელია, 46), გუჩუა, კიკნაძე (მელქაძე, 46), სახვაძე, აშვეთია (ბ. შენგელია, 46), ცქიტიშვილი, გ. შენგელია.
***გოლები:*** ცქიტიშვილი (14), გ. შენგელია (33).
***გააფრთხილეს:*** კვიციანი, ცქიტიშვილი.
***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

**ტორპედო (ქუთაისი) – გურია (ლანჩხუთი) 3-0**
**ქუთაისი. გივი კილაძის სახელობის სტადიონი.**
***ტორპედო:*** ასლანიძე (მამარდაშვილი, 88), მაღლაკელიძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, ჩხაიძე, შეყრილაძე, მეტრეველი, ქებაძე, ვაჩიბერიძე (გ. ყიფიანი, 58), მეგრელაძე, იონანიძე.
***გურია:*** ვარდანიძე, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი (ჩიკვილაძე, 65), თიბილაშვილი, ინიაშვილი (კავთელაძე, 70), დ. მახარაძე, ჩიგოშვილი, მელაძე, ბულუხია (პატარაია, 62).
***გოლები:*** ქებაძე (5, 57), მეგრელაძე (78).
***გააფრთხილეს:*** მეგრელაძე (1).
***მსაჯი:*** სოსო კახიანი (თბილისი).

**იბერია (სამტრედია) – სამგურალი (წყალტუბო) 3-1**
***იბერია:*** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ამაშუკელი (გ. ჰელიძე, 14), ჩომახიძე, მუმლაძე (ხუჭუა, 55), ვ. გიგიაძე, ივეჩიანი (მიქელთაძე, 85), ბრეგვაძე.
***სამგურალი:*** სტურუა, ფაიქიძე, გრ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, მახვილაძე, ხაჭაპურიძე (ქუთათელაძე, 78), მ. ჯინჭარაძე, უგულავა (კოპალიანი, 85), დარსაძე, თევდორაძე (ძაგნიძე, 73), კ. ჯანაშია.
***გოლები:*** 0-1 ფაიქიძე (14), 1-1 ჩომახიძე (43), 2-1 ივეჩიანი (77), 3-1 ვ. გიგიაძე (87).
***გააფრთხილეს:*** ხაჭაპურიძე, სტურუა, ბრეგვაძე, ხუჭუა, გეგეშიძე, ფაიქიძე, ლურსმანაშვილი.
***გააძევეს:*** ფაიქიძე (78).
***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) – სიონი (ბოლნისი) 4-0**
**ფოთი. „ფაზისის" სტადიონი.**
***კოლხეთი-1913:*** ქვაჩახია, ქუნთელია (გოროზია, 58), ტორჩინავა, ახვლედიანი, პაპავა (შალამბერიძე, 46), ღალანიძე, კალანდაძე, სუხიაშვილი (შავგულიძე, 70), გვასალია, წივწივაძე, ქობულაძე.
***სიონი:*** დალაქიშვილი, გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე (გ. ჯაფარიძე, 60), სამხარაძე, ბერიძე, გოგოლაძე, მაზანაშვილი (ი. ჯაფარიძე, 54), გაგუა, მარეხაშვილი.
***გოლები:*** წივწივაძე (44, 50), გვასალია (52, 81).
***მსაჯი:*** ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

**ოდიში (ზუგდიდი) – ბორდა (რუსთავი) 1-0.**
**ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი.**
***ოდიში:*** ნაყოფია, ლურწკაია, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, კვეკვესკირი, ჩადუნელი (ტაბაღუა, 80), ბარქაია, კუტალია (მარკოზია, 46), თოლორდავა (თოლორაია, 90), ენდელაძე.
***ბორდა:*** ქორიძე, მჭედლიძე, ზურნაძე, ბექაური, სახვაძე, კედელაშვილი, ტარტარაშვილი (მენთეშაშვილი, 80), ზირაქაძე (ალადაშვილი, 69), ლაბაძე, ჩუხუა, კაპანაძე.
***გოლი:*** ენდელაძე (74).
***გააფრთხილეს:*** ბექაური, ბარქაია.
***მსაჯი:*** თემურ მაჭარაძე (ხონი).

**დინამო (ბათუმი) – მერანი-91 (თბილისი) 0-0.**
**ბათუმი. ცენტრალური სტადიონი**
***დინამო:*** მალაყმაძე, სიჭინავა, კანტიძე (მაქაცარია, 30), ჭიჭვეიშვილი, რუსია, გადელია (აფხაზავა, 18), ღლონტი, პაპიძე, თორლაშვილი, ყულეჯიშვილი (რომანიძე, 87).
***მერანი-91:*** ლომაია, ივანიშვილი, ასპინძელაშვილი, ცქიფურიშვილი, დანელია, გეწაძე, ქორიძე, ბაჯელიძე (დევიძე, 79), გ. კვეტენაძე (ჯიშკარიანი, 78), დავითაშვილი, ხუციშვილი (მესხი, 46).
***გააფრთხილეს:*** დანელია, ცქიფურიშვილი.
***მსაჯი:*** გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

**ლოკომოტივი (თბილისი) – დილა (გორი) 0-0.**
**მცხეთა. „არმაზის" სტადიონი**
***ლოკომოტივი:*** ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, კაციაშვილი (კოტორაშვილი, 72), თარხნიშვილი, ხორგუაშვილი, მარლიშვილი (გოდერძიშვილი, 60), კვიტატიანი, ნ. მინდიაშვილი (დაუშვილი, 46), კ. მელქაძე, გ. ღუდუშაური.
***დილა:*** მდივანი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, პ. სამხარაძე, ხ. გაგნიძე, გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, გ. ჩიტაია, შატაკიშვილი (თაყაძე, 77).
***გააფრთხილეს:*** კაიდარაშვილი.
***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

## „დილას" ისე ნუ უყურებთ

სანახევროდ გორის „დილას" ყოფილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა და გაძლიერებულმა ტრანსპორტელთა გუნდმა ვითომდა შესუსტებულ მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა. მეათე ეროვნულში გორელთა ასეთ სტარტს ალბათ, ცოტა თუ ელოდა და ამგვარ პრინციპულ მატჩშიც ფავორიტად მისი მეტოქე ითვლებოდა. მაგრამ „დილამ" შეძლო სათამაშო დისციპლინის კიდევ ერთხელ გამოვლინება, კარგად გაისარჯა მათი კარის დარაჯი მდივანიც, ერთი-ორჯერ ფორტუნამაც გადაუსვა თავზე ხელი და ნანატრი ქულით მეტად კმაყოფილი დატოვა მცხეთის „არმაზი". აუგს ვერც „ლოკომოტივზე" იტყვის კაცი — მასპინძლები ხომ მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ, საგოლე მომენტებს ქმნიდნენ, მაგრამ კაციაშვილს, ხორგუაშვილს, დაუშვილს, მელქაძეს, ღუდუშაურს, კოტორაშვილს გუშინწინ გოლის გატანა არ ეწერათ და ეგაა. მატჩის მიწურულს კიდევ ერთმა ექსგორელმა ბალაშვილმა სცადა ბედი, მაგრამ მდივანის კარის ძელმა არ დაანება.

დათო თავართქილაძე

## მეორე ჯგუფი • VI ტური

### დასავლეთი ზონა. „ა" ქვეჯგუფი

სამგურალი-2 (წყალტუბო) – იბერია-2 (სამტრედია) 4-0, საირმე (ბაღდათი) – ოკეანე (სამტრედია) 0-1, რიონი (ქუთაისი) – რაჭა (ამბროლაური) 4-2, ჩიხურა (საჩხერე) – სულორი (ვანი) 1-5, მაღაროელი (ჭიათურა) – ტორპედო-2 (ქუთაისი) 4-1, მარგვეთი (ზესტაფონი) – დინამო (გაგრა) 3-2.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-4 | 18 |
| დინამო (გ.) | 6 | 5 | 0 | 1 | 16-6 | 15 |
| მარგვეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 16-4 | 13 |
| ოკეანე | 6 | 4 | 0 | 2 | 5-5 | 12 |
| მეშახტე | 5 | 3 | 0 | 1 | 10-6 | 9 |
| სამგურალი-2 | 5 | 2 | 1 | 2 | 10-10 | 7 |
| ტორპედო-2 | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| საირმე | 6 | 2 | 1 | 3 | 3-7 | 7 |
| რიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-7 | 3 |
| რაჭა | 6 | 1 | 0 | 5 | 6-11 | 3 |
| ჩიხურა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-17 | 3 |
| მაღაროელი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-12 | 2 |
| იბერია-2 | 6 | 0 | 0 | 6 | 4-17 | 0 |

*შენიშვნა: „მაღაროელს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

### დასავლეთი ზონა. „ბ" ქვეჯგუფი

მერცხალი (ოზურგეთი) – ენგური (ზუგდიდი) 1-0, ფაზისი (ფოთი) – სქური (წალენჯიხა) 3-0. კოლხეთი (ხობი) – სამეგრელო (ჩხოროწყუ) 2-0, ოდიში-2 (ზუგდიდი) – კოლხეთი-2 (ფოთი) 2-0, კოლეჯი (ბათუმი) – შუქურა (ქობულეთი) 0-0, ბახმარო (ჩოხატაური) – ეგრისი (სენაკი) 1-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| სქური | 6 | 4 | 0 | 2 | 11-8 | 12 |
| ეგრისი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-2 | 10 |
| სამეგრელო | 6 | 3 | 1 | 2 | 11-7 | 10 |
| მერცხალი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| შუქურა | 5 | 2 | 1 | 2 | 9-6 | 7 |
| ფაზისი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-4 | 7 |
| კოლეჯი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-8 | 7 |
| სალხინო | 5 | 2 | 0 | 3 | 9-12 | 6 |
| ოდიში-2 | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| ბახმარო | 6 | 1 | 1 | 4 | 4-17 | 4 |
| კოლხეთი-2 | 5 | 0 | 0 | 5 | 3-17 | 0 |

### ცენტრალური ზონა

მესხეთი (ახალციხე) – თორი (ბორჯომი) 5-1, საუ (თბილისი) – დინამო-2 (თბილისი) 0-1, ცხუმი (სოხუმი) – ვარძია (ასპინძა) 2-0, ჟინერი (ჟინვალი) – განთიადი (კასპი) 1-1, ივერია (ხაშური) – დილა-2 (გორი) 3-0, ლოკომოტივი-2 (თბილისი) – იბერია (ქარელი) 1-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 | 6 | 6 | 0 | 0 | 25-3 | 18 |
| ლოკომოტ.-2 | 6 | 5 | 0 | 1 | 16-6 | 15 |
| ივერია | 6 | 4 | 1 | 1 | 16-6 | 13 |
| განთიადი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-10 | 11 |
| იბერია (ქ.) | 6 | 3 | 1 | 2 | 10-6 | 10 |
| საუ | 6 | 2 | 2 | 2 | 10-11 | 8 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-7 | 7 |
| ცხუმი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| თორი | 6 | 2 | 0 | 4 | 7-12 | 6 |
| იბერია | 5 | 2 | 0 | 3 | 9-16 | 6 |
| დილა-2 | 6 | 1 | 1 | 4 | 10-14 | 4 |
| მესხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 10-15 | 4 |
| ჟინერი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-25 | 4 |
| ვარძია | 6 | 0 | 1 | 5 | 7-22 | 1 |

*შენიშვნა: „ცხინვალს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

### აღმოსავლეთი ზონა

სამგორი (გარდაბანი) – დინამო-3 (თბილისი) 0-1, არსენალი-2 (თბილისი) – ყვარელი 1-1, ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) – ხალიბი (რუსთავი) 2-0, ქანაგკო (სართიჭალა) – ღარწყალი (ძვ. ანაგა) 2-2, მრეტები (თბილისი) – ალაზანი (გურჯაანი) 5-3, კახეთი (თელავი) – ალგეთი (მარნეული) 3-2, შსს აკადემია(თბილისი) – უნივერსიტეტი (თბილისი) 2-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-3 | 14 |
| ღარწყალი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-5 | 13 |
| შსს აკადემია | 5 | 4 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| დინამო-3 | 6 | 4 | 0 | 2 | 7-6 | 12 |
| კახეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| ჭაბუკიანი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| ხალიბი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-4 | 9 |
| ალგეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 11-9 | 9 |
| უნივერსიტეტი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| არსენალი-2 | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| ზოოვეტი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-9 | 6 |
| მრეტები | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| ალაზანი | 6 | 1 | 0 | 5 | 7-18 | 3 |
| სამგორი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 1 |
| ქანაგკო | 6 | 0 | 1 | 5 | 6-19 | 1 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## 10 ოქტომბერს, მოსკოვში

*ვერაფერი საქმე — რაც საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მატჩი ვერ მოიგო. ჯერ იყო, ვენაში ფრედ (2-2) დაამთავრა ამხანაგური შეხვედრა ავსტრიელებთან, შემდეგ კი ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის მატჩი ამავე შედეგით (1-1) დაასრულა რეიკიავიკში ისლანდიელებთან, განა ეს შესაფერი შედეგებია ბრაზილიელთა მძლეველთათვის?!*



ზოლიან მაისურში ზინედინ ზიდანი

და აი, 10 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონებს კვლავ შესარჩევი მატჩის ჩატარება მოუხდებათ მოსკოვში რუსეთის ნაკრებთან, რომლებთანაც წელს ერთხელ უკვე წააგეს ამავე მინდორზე. მართალია, იმ განსხვავებით, რომ შეხვედრა ამხანაგური იყო და მაშინ არც ფრანგები იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები.

ფრანგების მთავარმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა გამოაცხადა თავისი ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი („მონაკო") და ლიონელ შარბონიე („გლაზგო რეინჯერსი"), დაცვა — ლორან ბლანი (მარსელის „ოლიმპიკი"), ვერსან კანდელა („რომა"), მარსელ დესაიი, ფრანკ ლებეფი (ორივე — ლონდონის „ჩელსი"), ბიკსან ლიზარაზიუ (მიუნხენის „ბაიერნი"), ლილიან ტიურამი („პარმა), **შუა ხაზი** — ალენ ბოგოსიანი („პარმა"), დიდიე დეშამი, ზინედინ ზიდანი (ორივე — ტურინის „იუვენტუსი"), იური ჯორკაეფი (მილანის „ინტერი"), ემანუილ პეტი, პატრიკ ვიეირა (ორივე — ლონდონის „არსენალი"), **თავდასხმა** — ნიკოლა ანელკა (ლონდონის „არსენალი"), კრისტოფ დიუგარი, რობერტ პირე (ორივე — მარსელის „ოლიმპიკი"), დავიდ ტრეზეგე („მონაკო"), ტონი ვერელი („ლანსი").

საფრანგეთის ნაკრებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ლაპარაკობს ზინედინ ზიდანი.

● *ზოგი, ნიშნის მოგებით, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთის ნაკრებს არ მოუგია — მასში ხომ ფრანგები ძალიან ცოტანი იყვნენ. თქვენც ხომ ფრანგი არა ხართ.*

— ჩემი მშობლები ალჟირელი ემიგრანტები არიან, მაგრამ მე ფრანგი ვარ, რადგან საფრანგეთში დავიბადე, ისევე, როგორც ჩემი სამი ძმა და და. საბედნიეროდ, საფრანგეთი ისეთი ქვეყანაა, რომლისთვისაც უცხოა ნაციონალიზმი. ჩვენ ღარიბთა უბანში ვცხოვრობდით, მშობლები ძლივს გვარჩენდნენ. მამაჩემი საწყობში მუშაობდა, მაგრამ ფრანგთა შორის თავს უცხოდ არა გრძნობდა. ნაკრების წარმატებები მთელი ქვეყნისთვის დიდ ზეიმად იქცა, იმის მიუხედავად, რომ მის შემადგენლობაში უცხოური წარმოშობის ფეხბურთელები იყვნენ.

● *თქვენ ბავშვობაში აღტაცებული იყავით პლატინის თამაშით, ეტყობა, „იუვენტუსში" თამაშზე ოცნებობდით?*

— არა. მე მარსელის „ოლიმპიკში" თამაშზე ვოცნებობდი. სამწუხაროდ, ეს ოცნება არ განხორციელებულა. თუმცა მე ბედს როდი ვუჩივი. ჩემი კარიერა „კანში", „ბორდოში", ახლა კი „იუვენტუსში" წარმატებით ხასიათდება. მაგრამ ჩემს საყვარელ კლუბად მაინც მარსელის „ოლიმპიკი" რჩება. ჩემს შვილსაც კი ენცო დავარქვი, როცა იგი დაიბადა, იმ წელს „ოლიმპიკის" ვარსკვლავი სწორედ ენცო ფრანჩესკოლი იყო.

● *თქვენ საინტერესო მეტსახელი გაქვთ — „უცხოპლანეტელი". ეს სახელი იმიტომ ხომ არ დაგარქვეს, რომ თქვენი თამაში მინდორზე რაღაც იმქვეყნიურია?*

— არა. ეს სახელი ჯერ კიდევ „ბორდოში" დამარქვეს, როცა ეკრანზე ამავე სახელწოდების ფილმი გამოვიდა. მე ფილმს რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად ვადევნებდი თვალს. როცა ეკრანზე უცხოპლანეტელი მონსტრი გამოჩნდა, ყველამ ერთად გადაიხარხარა და თქვა: „ზედგამოჭრილი ზიდანია". რა საერთო ნახეს, დღემდე არ ვიცი.

● *ეს მონსტრი მეტისმეტი სივით გამოირჩეოდა, არა?*

— დიახ, ამ მხრივ მას სრულიადაც არა ვგავარ. ჩემი ცოლი ვერონიკა ხშირად მსაყვედურობს, რომ მეტისმეტად რბილი ხასიათი მაქვს. იგი თვლის, რომ ზოგიერთს უფრო მკაცრად უნდა მოექცე.

● *მსოფლიო ჩემპიონებმა ევროპული შესარჩევი ციკლი ისლანდიელებთან უფერული მატჩით დაიწყეს. დაგროვილმა დაღლილობამ ხომ არ იჩინა თავი?*

— არა მგონია. სჩანს, თამაშისათვის სათანადო განწყობა არა ყოფილა. მეტოქე ხომ არც ისე ძლიერი იყო, ამიტომ, ეტყობა, ჩავთვალეთ, რომ იოლად დავამარცხებდით. აი, ამან გამოიწვია ჩვენი სუსტი თამაში.

● *რუსეთთან მატჩში იგივე ხომ არ მოხდება?*

— ძალიან არ მიყვარს წინასწარ ლაპარაკი. ჩვენ, მსოფლიო ჩემპიონები რომ გავხდით, მეტად გავირთულეთ ცხოვრება. ადრეც ყველა ძლიერ მეტოქეებად გვთვლიდა, ახლა ხომ საგანგებოდ ემზადებიან. თქვენ კარგად გესმით — ახლა თითოეულ მატჩში უნდა დავამტკიცოთ, რომ მსოფლიოში უძლიერესები ვართ. მსოფლიო ჩემპიონების დამარცხება კი ყველას სურს.

● *რას ფიქრობთ რუსეთის ნაკრებზე?*

— ამას წინათ, რუსეთის ნაკრებზე პლატინის ვესაუბრე. მან თქვა, რომ ახლა რუსები ისეთი ძლიერები არ არიან, როგორც მის დროს იყვნენ. მაგრამ ამ გუნდს შეუძლია რომელიმე ცალკეულ მატჩში საოცრებას მიაღწიოს, თუკი მისთვის სათანადოდ განეწყობა. მიშელმა გვირჩია რუსებთან სიფრთხილე გამოვიჩინოთ, მით უმეტეს, რომ მათ მინდორზე ვთამაშობთ.

— რაც არ უნდა ვთქვათ, ისლანდიელებთან მატჩში საფრანგეთის ნაკრები გადაღლილად გამოიყურებოდა, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. ეს არც არავის გაკვირვებია, ძალიან ცოტა დრო გავიდა მსოფლიო პირველობის უმძიმესი მატჩების შემდეგ. აი, რუსეთი კი, ამ შეჯიბრებაში საერთოდ არ მონაწილეობდა...

— თქვენ არ იცით, როგორ დამთრგუნველად მოქმედებს ფეხბურთელთა ფსიქოლოგიაზე ის ფაქტი, რომ ისინი მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ. ისე რომ, მორალური უპირატესობა ამჯერად სწორედ ჩვენს მხარეზე იქნება. ფიზიკური თვალსაზრისითაც, თუ რუსეთისა და უკრაინის მატჩის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენ რუსებს არ უნდა დავუთმოთ.



ჩეზარე მალდინი

## დამარცხებულებსაც არ ივიწყებენ

**იტალიური პრესა არც მსოფლიო ჩემპიონატს ივიწყებს და არც ნაკრების ყოფილ მწვრთნელ ჩეზარე მალდინის, რომელსაც უამრავ ბრალდებას უყენებენ.**

რამ მოაფიქრებინა ამ გამოცდილ მწვრთნელს მინდორზე ჩემპიონატისათვის სრულიად მოუმზადებელი ალესანდრო დელ პიერო გამოეყვანა დიდებულ ოსტატ რობერტ ბაჯოს ნაცვლად?

რომის გაზეთი „რეპუბლიკა" იხსენებს ფრანგებთან შეხვედრას: „ჩვენ ყველამ უნდა ვაღიაროთ ერთი რამ: „ფრანგებმა მოგების მისაღწევად მინდორზე ყველაფერი გააკეთეს, იტალიელებმა კი საერთოდ, არაფერი."

„გაძეტა დელ-სპორტი": „კონტრიერიშის იარაღი ყოველთვის დარჩება ფეხბურთის თამაშის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად, ისევე, როგორც ჩვენი სათამაშო სტილის დამახასიათებელ ნიშნად. მაგრამ ეს იარაღი სპეციფიკური სტრატეგიის ჩარჩოებში უნდა მოათავსო, იგი თამაშის ლოგიკით უნდა იყოს გამოყენებული და იმ კაცის უკანასკნელი იმედი არ უნდა გახდეს, რომელსაც წყალში დახრჩობა ემუქრება, როგორც ეს მალდინის გუნდს პარიზში მოუვიდა".

მილანის „კორიერე დელა სერა": „დელ პიეროს მზადყოფნა ცუდი იყო, იგი მზად არ გახლდათ ეთამაშა მსოფლიო პირველობაზე. ის, რაც ყველასათვის ნათელი იყო, ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა მრავალრიცხოვანი ვარჯიშების დროსაც კი ვერ დაინახა".

ჩეზარე მალდინი შეეცადა თავი დაეცვა. იგი ესაუბრა „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს: „რატომ ივიწყებს ყველა, რომ ალესანდრო დელ პიერო რონალდოსთან ერთად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება. იგი დაშავებული იყო, მაგრამ გამომჯობინდა და ჩემპიონატის დაწყების წინ მითხრა, რომ თამამად შეუძლია ითამაშოს. ექიმებმაც, რომლებიც ძალების აღდგენაში ეხმარებოდნენ, თქვეს, რომ დელ პიერო მატჩებში მისაღებად მზად არის.

● *მაშინ როგორღა მოხდა, რომ ფრანგებთან მის მაგივრად მინდორზე რობერტო ბაჯო გამოვიდა?*

— დელ პიერომ პირველი ტაიმი და მეორის 20 წუთი ითამაშა — საათზე ცოტათი მეტი. ბაჯომ მინდორზე საათზე ნაკლები გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს თამაშში რაიმე არ შეცვლილა.

● *დიახ, მაგრამ ბაჯოს ის გოლი რომ გაეტანა?*

— ფეხბურთში მხოლოდ ის უნდა გავითვალისწინოთ, რაც მოხდა. რომ გაეტანა...

● *მაინც რამ შეუშალა ხელი დელ პიეროს ისე ეთამაშა, როგორც შეუძლია?*

— ვფიქრობ, წმინდა ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა. სხვა ახსნა მე არა მაქვს. ხომ არ შეიძლება კარგი ფეხბურთელი ასე ერთბაშად ცუდი გახდეს...

● *რატომ არ შეეცადეთ თამაში ინძაგის ჩართვით გამოგეცოცხლებინათ?*

— ინძაგი ხომ სუპერბომბარდირი არ არის. აი, ვიერომ კი მსოფლიო ჩემპიონატში 5 გოლი გაიტანა.

● *რატომ არ შეიძლება მინდორზე ინძაგისა და ვიეროს წყვილი გამოგეყვანათ?*

— არა მგონია, რომ ამგვარად ჩვენ რამეს მივაღწევდით. რა გააკეთეს ფრანგმა თავდამსხმელებმა გავარკმა, ანრიმ, ტრეზეგემ ჩვენთან მატჩში? არაფერი. და მაინც ჩვენ ფრანგებმა მოგვიგეს.

● *დიახ, მაგრამ სხვა თამაშების ბედს სწორედ თავდამსხმელები წყვეტდნენ. სხვა ნაკრებების მწვრთნელებს თავიანთი სუპერფორვარდები სათადარიგოთა სკამზე არ დაუსვამთ.*

— რა თქმა უნდა, ბირჰოფსა და ბატისტუტას, რომლებიც იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები არიან, შეუძლიათ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების თავის სასარგებლოდ გადაწყვეტა. ვიერი, ჩემი აზრით, ამ კატეგორიას ჯერჯერობით არ მიეკუთვნება.

● *თქვენ გინდოდათ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება?*

— პატიოსნად გეტყვით, მინდოდა.

● *ხელი რაღამ შეგიშალათ?*

— იმ შეცდომების ერთობლიობამ, ჩვენ რომ დავუშვით...

● *კონკრეტულად, რომელმა შეცდომებმა?*

— ნება მომეცით ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ.

● *გუნდს შეეძლო უკეთ ეთამაშა?*

— ჩვენ ისე ვითამაშეთ, როგორი საბოლოო შედეგიც გვქონდა. ყველა ხოტბას ასხამს ბაჯოს, მაგრამ არავინ იხსენებს, რომ მე იგი ნაკრებში სულ უკანასკნელ მომენტში მოვიწვიე.

● *მარადონა და კრუიფი აცხადებენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატში ვერავინ უჩვენა მაღალი კლასის თამაში.*

— ყველა დიდი ფეხბურთელი, თამაშს რომ ამთავრებს, იწყებს იმის მტკიცებას, რომ ფეხბურთელთა ახლანდელი თაობა ადრინდელზე უარესია. ჩემი აზრით კი, მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში კარგი გამოვიდა, ჩემპიონობის ყველა პრეტენდენტმა ღირსეული თამაში გვიჩვენა. ყველამ, გერმანელების გარდა, რასაც არ უნდა ამბობდეს ახლა კლინსმანი, გერმანია ძალზე უფერულად გამოიყურებოდა.

● *თქვენი შვილი პაოლო ნაკრების დატოვებას აპირებს.*

— ეს ყველაზე უარესი იქნება იმათგან, რისი გაკეთებაც მას შეუძლია. ეს მისთვისაც ცუდი იქნება და იტალიური ფეხბურთისთვისაც. ეჭვგარეშეა, თავის ამპლუაში იგი მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია.



ჩეზარე მალდინი

## „რაღაც საშუალო საკისა და მალდინის შორის?"



არიგო საკი

***ინგლისური „უორლდ სოკერის" რომაელმა კორესპონდენტმა პადი აგნიუმ გამოაქვეყნა წერილი, სადაც ამტკიცებს, რომ „სკუადრა აძურას" მარცხის მიზეზი სულაც არა ყოფილა მალდინის შეცდომები.***

— იტალია თავისი ტრადიციული მანერით თამაშობდა. ბევრს უნდოდა ნაკრებს ისეთი მანერით ეთამაშა, რომელსაც ყოველკვირეულად გვიჩვენებენ სერია A-ს გუნდები. ეს ადამიანები ივიწყებენ, რომ კლუბების უმეტესობას თამაშს უცხოელი ნახევარმცველები განაპირობებენ. მალდინი არაერთგზის უჩიოდა იტალიურ ფეხბურთში უცხოელთა მომრავლებას, რომლებიც ადგილობრივ ტალანტებს განვითარების საშუალებას არ აძლევენ: იგი ამბობდა, რომ ნაკრებისათვის მაღალი კლასის ნახევარმცველებს ვერ ხედავს. იმასაც ნუ ვივიწყებთ, რომ მალდინის წინამორბედს ნაკრებში არიგო საკის იმისათვის აკრიტიკებდნენ, რომ მას სურს „მილანის" სტილი დანერგოს, მოითხოვდნენ ტრადიციული იტალიური სტილისაკენ დაბრუნებას. ცნობილი მიმომხილველი ჯანი ბურა საკის სტილს „დახვეწილ თანამედროვე სამზარეულოს" უწოდებდა, მალდინიმ კი, მისი აზრით, „იტალიელები ჩვეული ტრადიციულ საუზმით დააპურა".

შეიძლება ძოფი რაღაცა საშუალო იქნება საკისა და მალდინის შორის, მაგრამ ყველა შემთხვევაში წააწყდება იტალიელ ფეხბურთელებს შორის მაღალი კლასის ნახევარმცველების არყოლას. იტალიას არც რივალდო ჰყავს, არც ბობანი და არც დუნგა. ისეთი ნახევარმცველიც კი არა ჰყავს, როგორც თავის დროზე ჯანკარლო ანტონიონი იყო.

ამიტომ ყველაფერს მწვრთნელს ნუ დავაბრალებთ. იტალიელთა დაცვა სოლიდურად იყო ორგანიზებული, თავდასხმაც მწვავედ თამაშობდა, მაგრამ შუა ხაზის სისუსტემ ის გამოიწვია, რომ ჩილელებსა და კამერუნელებთან შეხვედრაშიც კი „სკუადრა აძურა" დროის დიდ მონაკვეთში მეტოქეებს თამაშზე კონტროლის დაწესების საშუალებას აძლევდა. ამის გამო მისი დამარცხება მეოთხედფინალში სრულიად კანონზომიერი იყო, რასაც არ უნდა ამტკიცებდნენ ისინი, ვისაც იტალიელები ჩემპიონთა პიედესტალზე სურდა ენახა.

## დებიუტი. თანაც მეტად საინტერესო

როგორც აფა-ს (არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის) პრეზიდენტმა ხულიო გრანდონამ განაცხადა, არგენტინის ეროვნული ნაკრები 10 თებერვალს მაიამიში (აშშ) გერმანიის ნაკრებს შეხვდება.

ეს იქნება არგენტინელთა ახალი მწვრთნელის მარსელო ბიელსას დებიუტი.

## შტილიკე თავისი მდიდარი გამოცდილებით...

**–გერმანელი ექსპერტების აზრით, დიდად უნდა დაეხმაროს „ბუნდესტრენერ" ერიხ რიბეკს. ჯერ ერთი, შტილიკეს, განთქმულ მცველს, პროფესიულ კლუბებში თამაშის მდიდარი გამოცდილება აქვს. შემდეგ არაერთ კლუბს ხელმძღვანელობდა და საკმაო წარმატებითაც. ის კი არადა, ული შტილიკეს პირველ ნაკრებში მთავარი მწვრთნელობის პრაქტიკაც აქვს. 80-იან წლებში შტილიკე შვეიცარიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. ასე რომ, ერიხ რიბეკისა და ული შტილიკესაგან გერმანიის ნაკრებში კარგ შედეგებს ელიან.**

## «მთავარია აზროვნების გაუმჯობესება...»

...ასე ფიქრობს კოლუმბიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი, 40 წლის ხავიერ ალვარესი. „პირველ რიგში მე იმას უნდა მივაღწიო, რომ მოთამაშეებმა უფრო სწრაფად, უფრო უკეთესად იაზროვნონ. აი, თუკი ეს გავაკეთე..."

ალვარესი კოლუმბიურ ფეხბურთში იმით გახდა ცნობილი, რომ პროვინციული „კალდასი" ქვეყნის ჩემპიონი გახადა.



# უქლიერესები მოვდევნო ეტაპიდან ჩაერთვებიან

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო თასის მეცხრე გათამაშების მეთექვსმეტედფინალური წყვილების კენჭისყრა. 9 და 13 ოქტომბერს ერთმანეთს შეეჯიბრებიან:**

გურია (ლანჩხუთი) — კოლეჯი (ბათუმი),
ოდიში (ზუგდ.) — ენგური (განმუხური),
იბერია (სამტრ.) — სამეგრელო (ჩხოროწყუ),
სამგურალი (წყალტ.) — იბერია-2 (სამტრ.),
დილა (გორი) — რიონი (ქუთაისი)
ვიტ-ჯორჯია (თბ.) — მარგვეთი (ზესტ.),
არსენალი (თბ.) — იბერია (ქარელი),
მერანი-91 (თბ.) — ზოოვეტი (თბ.),
თსუ — საუ (თბ.),
ლოკომოტივი (თბ.) — ივერია (ხაშური),
გორდა (რუსთავი) — ყვარელი,
სიონი (ბოლნ.) — შსს აკადემია (თბ.).

რაც შეეხება იმ გუნდებს, რომლებიც წლის ევროტურნირებში წელს ასპარეზობდნენ (თბილისისა და ბათუმის „დინამო“, ფოთის „კოლხეთი-1913“ და ქუთაისის „ტორპედო“), ისინი გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაერთვებიან.

# სასიამოვნო სიურპრიზი გულშემატკივრებს — ორივე მატჩს ტელევიზიით ვიხილავთ!

**გუშინ** დილით რიგას გაფრინდა საქართველოს სპორტული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ქვეყნის ეროვნული და ახალგაზრდული საფეხბურთო ნაკრებები, სფფ-ს ოფიციალური პირები, ჟურნალისტები. გამგზავრების წინ ვესაუბრეთ ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს ვლადიმერ პანოვს. მისი თქმით, გუნდი ამაღლებული განწყობით მიფრინავს რიგაში: „10 და 14 ოქტომბრის მატჩები ლატვიასთან და საბერძნეთთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ამის პოტენციალური ძალა გაგვაჩნია და მჯერა, ბიჭები ყველაფერს გაიღებენ ამ ამოცანის შესასრულებლად“. პანოვმა გვითხრა, რომ პირდაპირ თბილისის აეროპორტში უნდა მოიყვანონ ზაზა ჯანაშია, რომელმაც კვირას ვლადიკავკაზში ითამაშა. დამაიმედებელი ცნობები მივიღეთ „აიაქსიდან“ — შოთა არველაძემ ტრავმა მოიშუშაო, პანოვისგანვე შევიტყვეთ ცუდი ამბებიც — ჰოლანდიისა და გერმანიის ჩემპიონატებში ტრავმები მიუღიათ არჩილ არველაძეს და ალექსანდრე იაშვილს. ისინი, თურმე, მაინც ჩამოვლენ რიგაში, სადაც გაივლიან დეტალურ სამედიცინო შემოწმებას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტავს ვლადიმერ გუცაევი ათამაშოს თუ არა ესა თუ ის ფეხბურთელი.

გუშინვე სფფ-ს საერთაშორისო განყოფილებაში შევიტყვეთ, რომ ლატვიისა და საქართველოს 10 ოქტომბრის მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს აწყობს „ევროსპორტი“. იგი 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება. რაც შეეხება 14 ოქტომბრის საბერძნეთი — საქართველოს შეხვედრას, იგი 20 საათზე დაიწყება და „იესპიენით“ გადმოიცემა. „ევროსპორტის“ და „იესპიენის“ არხების მესვეურთ სფფ-ში ფაქსები გამოუგზავნიათ — თქვენი ნაკრების შემადგენლობა გვააახლეთ, რათა რეპორტაჟები კვალიფიციურად წავიყვანოთო.




4 ოქტომბერმა, ქართული სპორტის დღემ, განსაკუთრებულად გამორჩევით ჩაიარა თბილისში. სტარტებში მონაწილეობდა მრავალი ახალგაზრდა და მოზარდი, ეპიცენტრი ვაკის პარკი იყო, სადაც სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართა შეჯიბრებები. ღონისძიებას ყველგან ესწრებოდნენ, გამარჯვებულებს და პრიზიორებს ჯილდოებს გადასცემდნენ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს თავკაცი ვლადიმერ კანკავა და თბილისის მოსწავლეთა ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების მთავარი სამმართველოს უფროსი ვაჟა ჭკუასელი.

# ტურნირიდან ტურნირზე — თბილისიდან ბათუმში...

*(პირველი გვერდიდან)*

*დარი გამოდგა. პირველი ოთხის გეიმის მერე ანგარიში საყაიმო იყო 2:2, შემდგომ კი ინიციატივას დაეუფლა კულიკოვსკაია (ტურნირზე მეორე ნომრად განთესეს). იგი განსაკუთრებული აღმაფრენით თამაშობდა და პირველი სეტიც მოიგო 6:2.*

*მეორე სეტში პირველ ნომრად განთესილმა მაკაროვამ ყველაფერი იღონა წარმატების მისაღწევად, ანგარიშიც მის სასარგებლოდ იზრდებოდა, მაგრამ 5:3-ზე დაღლა დაეტყო და მეორე პარტია დათმო 5:7. ამრიგად, ტურნირის გამარჯვებული ევგენია კულიკოვსკაია გახდა, რომელმაც მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა: „უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მთავარი პრიზი მოვიპოვე. მადლობელი ვარ ყველა იმ გულშემატკივრისა, ვინც თამაშისას მამხნევებდა...“*

*დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე გამარჯვებულს გულთბილად მიულოცეს თბილისის ვიცე-მერმა გოგი წერეთელმა ფირმა „ქართუს“ ვიცე-პრეზიდენტმა ბესო გოგელიამ და სხვებმა.*

*შემდეგ კორტზე გამოვიდნენ წყვილებში მოასპარეზენი: ქართულ დუეტს (მაკა ჩახნაშვილი — სოფიკო მანაგაძე) ბელარუსელები (ოლღა გლუშენკო — ტატიანა პუჩეკი) დაუდგნენ მეტოქედ. აქ ჩვენი სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო 6:2, 6:4.*

*შეჯიბრების კომისარმა ბულგარელმა ლუბომირ ბრატოევმა მაღალი შეფასება მისცა განვლილ ტურნირს. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ლეილა მესხის როლს ამ ასპარეზობის ორგანიზაციაში.*

*შარშანდელივით, თბილისში მოასპარეზენი ტურნირის დამთავრებისთანავე ბათუმს გაემგზავრნენ — დღეს იქ იწყება ანალოგიური შეჯიბრება.*

*პეტრე ჭანკვეტაძე*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## როგორ ფაუვა საქმეები ახალ „რო-რო“-ს

გულშემატკივრები კარგად იცნობენ განთქმულ ბრაზილიელ დუეტს „რო-რო“-ს (რონალდო და რომარიო), რომლის დაშლა მწვრთნელ მარიო ჟორჟე ზაგალოს დიდ შეცდომად ითვლება.

ახლა დუეტი „რო-რო“ აღდგა, თუმცა სხვა შემადგენლობით. ამჟამად მილანის „ინტერში“ რონალდოს მხარდამხარ თამაშობს სხვა „რო“ — რობერტო ბაჯო. ჯერჯერობით განთქმულ თავდამსხმელებს თითქმის არ მოუხდათ ერთად თამაში, ძირითადად ტრავმების გამო, მაგრამ, როგორც ამბობენ, მომავალი წინ არის.

## პასუხს სასამართლოში აგებენ?

**ცოტა უცნაური წესებია ბრაზილიაში — აქ შეიძლება მოსამართლემ ნაკრების მწვრთნელები და ფეხბურთელები გამოიძახოს, რატომ ითამაშეს სუსტად ამა თუ იმ მატჩში.**

**რიო-დე-ჟანეიროს 30-ე სახალხო სასამართლოს მოსამართლემ გამოიძახა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მარიო ზაგალო. მან უნდა განმარტოს, რა მოუვიდა ფინალური მატჩის წინ რონალდოს. პრესამ კი აღნიშნა, რომ მან ფრანგებთან ისე სუსტად ითამაშა, როგორც არასდროს, მაგრამ რაში იყო საქმე, არავის აუხსნია. რეპორტიორების აზრით, რახან ავად იყო, საერთოდ არ უნდა გამოეყვანათ მინდორზე.**

**სასამართლოს სხდომაზე გამოძახებული არიან აგრეთვე ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა, ნაკრების ექიმი ლიდიო ტოლედო. ზაგალოს თანაშემწე ზიკო და თავდამსხმელი ბებეტო. მათ შეუძლიათ თავიანთი ადვოკატების თანხლებით გამოცხადდნენ.**

**მოსმენის დღე ჯერჯერობით გამოცხადებული არ არის.**

## 18 ნოემბერს, ბრაზილიაში

როგორც რუსეთის ნაკრების პრესსამდივნომ გამოაცხადა, მიღწეულია შეთანხმება 18 ნოემბერს ბრაზილიაში ადგილობრივ ნაკრებთან შეხვედრის შესახებ. გარდა ამისა, რუსეთის ნაკრები სამხრეთ ამერიკაში რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრასაც ჩაატარებს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩილეს, არგენტინის, პარაგვაისა და ურუგვაის ნაკრებების ხელმძღვანელობასთან.

## ორი კვირით „დაისვენებს“

**რომის „ლაციოსა“ და იტალიის ნაკრების წამყვანი თავდამსხმელი კრისტიან ვიერი, რომლისათვისაც მადრიდის „ატლეტიკოს“ 30 მილიონი დოლარი გადაუხადეს, ქვეყნის სათასო მატჩზე დაშავდა და, ახლა, ექიმების აზრით, დაახლოებით ორი კვირით „დასვენება“ მოუხდება.**

## მოლდოვაში მსაჯებს სცემენ

მოლდოველი მსაჯები გაფიცვით იმუქრებიან. ეს პროტესტი იქნება უმაღლესი ლიგის ოთხი არბიტრის ცემასთან დაკავშირებით. როგორც კიშინიოვის გაზეთი „ფლუკსი“ იუწყება, ვიღაც უცნობი ადამიანები თავს დაესხნენ არბიტრებს გენადი კრასნოშონს, ანატოლი იანეცს, ვლადიმერ სოროკინსა და ვლადიმირ ანტონოვს და სხეულის დაზიანება მიაყენეს.

მსაჯები აცხადებენ, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს აღარ წარუძღვებიან, სანამ მათ სათანადოდ არ დაიცავენ.

ორი ნაცემ მსაჯთაგან — იანეცი და სოროკინი დანიშნული არიან 10 ოქტომბრის მატჩზე ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირზე სლოვაკიისა და ლიხტენშტაინის ნაკრებებს შორის. შესაძლოა მათ უარი განაცხადონ ამ მატჩის გაძღოლაზეც კი.

## რას უპასუხებს ბიშოვეცი?

**გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ მკითხველებმა ასეთი კითხვებით მიმართეს რუსეთის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ანატოლი ბიშოვეცს:**

**— როდის ითამაშებენ ჩვენი ფეხბურთელები ისეთი მონდომებით სახელმწიფოს სპორტული ღირსების დასაცავად, როგორც ამას ბრაზილიელები, ფრანგები, გერმანელები აკეთებენ?**

**— გულშემატკივრების მზარდი პერის მიუხედავად, რატომ არ თანხმდებოდით ასე დიდხანს მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავებაზე?**

**— რა უთანხმოება არსებობს თქვენსა და ოლეგ რომანცევს შორის?..**

# ევროპის 1998/99 წლების საკლუბო ტურნირები ფეხბურთში

## უეფას თასი

### 1/16 ფინალური მატჩები

ვისლა (პოლონეთი) — პარმა (იტალია),
დინამო (რუსეთი) — სოსიედადი (ესპანეთი),
ლივერპული (ინგლისი) — ვალენსია (ესპანეთი),
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ლიონი (საფრანგეთი),
გრაცი (ავსტრია) — მონაკო (საფრანგეთი),
შტუტგარტი (გერმანია) — ბრიუგე (ბელგია),
ვილემ II (ჰოლანდია) — ბეტისი (ესპანეთი),
გრასჰოპერსი (შვეიცარია) — ფიორენტინა (იტალია),
სელტა (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი)
სელტიკი (შოტლანდია) — ციურიხი (შვეიცარია),
ვერდერი (გერმანია) — ოლიმპიკი (საფრანგეთი),
ბოლონია (იტალია) — სლავია (ჩეხეთი),
ვიტესი (ჰოლანდია) — ბორდო (საფრანგეთი),
ბაიერი (ლევერკუზენი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია),
ცსკა (ბულგარეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი),
რომა (იტალია) — ლიდსი (ინგლისი).

*მატჩები გაიმართება 20 ოქტომბერს და 3 ნოემბერს*

**უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა უეფას თასისა და თასების მფლობელთა თასის კენჭისყრა. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ**

## თასების თასი

### 1/8 ფინალური მატჩები

ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია),
ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი),
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია),
გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი),
პანიონისი (საბერძნეთი) — აპოლონ (კვიპროსი),
რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი),
ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია),
კოპენჰაგენი (დანია) — ჩელსი (ინგლისი).

*მატჩები ჩატარდება 22 ოქტომბერსა და 5 ნოემბერს.*




**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.


# საბერძნეთს ვერ ელევა

**ცნობილი უკრაინელი თავდამსხმელი ოლეგ პროტასოვი ოდესღაც რომ კიევის „დინამოდან“ პირეოსის „ოლიმპიაკოსში“ გადავიდა, თუ მცირე ხნით იაპონიაში „მივლინებას“ არ ჩავთვლით, საბერძნეთს ვერ ე ევა. ხან რომელ კლუბში გამოდის და ხან რომელში.**

● ***როგორ მოხდა, რომ „პროოდეფტიკაში“ აღმოჩნდით?***

— მთელი ჩემი კარიერის მანძილზე სად არ მომიხდა თამაში, კლუბებში, რომლებიც ერთმანეთისაგან ორგანიზაციის დონითაც გამოირჩეოდნენ და მოთამაშეების ოსტატობითაც. მე ზაფხულში „ვერიიდან“ ისევ ათენში მინდოდა დაბრუნება, მაინტერესებდა კლუბი „პანიონიოსი“, რომელიც საბერძნეთის თასს დაეუფლა. სამწუხაროდ, ამ კლუბის მენეჯერებმა ჩემდამი ინტერესი არ გამოიჩინეს, აი „პროოდეფტიკასთან“ კი მალე გამოვნახე საერთო ენა.

● ***ფიქრობთ, რომ გაუგეთ საბერძნეთში ცხოვრების სპეციფიკას?***

— ეს სრულიად ნორმალური ქვეყანა გახლავთ. მისი მცხოვრებლები ტემპერამენტიანები არიან, შეიძლება რამდენადმე აგრესიულებიც. ამ ხასიათს თვით ბრძნები ხმელთაშუაზღვიურს უწოდებენ. ორი წელიწადი იაპონიაშიც ვცხოვრობდი. ის საბერძნეთთან შედარებით სულ სხვანაირი სამყაროა. იქ ყველაფერი გათვალისწინებული და რეგლამენტირებულია. საბერძნეთში კი ადამიანებს უყვართ ერთმანეთთან ურთიერთობა, კეთილები არიან.

● ***გქონდათ თუ არა ბერძნულ კლუბებში თამაშის გარდა, სხვა ვარიანტები?***

— მენეჯერები სოლიდურ იტალიურ კლუბში გადასვლას მპირდებოდნენ. მაგრამ მე მაინც საბერძნეთი ავირჩიე.

● ***არ ნანობთ?***

— არასდროს არ ვნანობ იმაზე, რაც გავაკეთე. შემიყვარდა საბერძნეთი. მომწონს აქ ცხოვრება.

● ***ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ იქვე დარჩებით?***

— არ ვიცი. ახლა აქ სახელიც მაქვს და სამუშაოც. პერიოდულად ვფიქრობ ხოლმე იმაზე, რომ საერთოდ დავრჩე ათენში, მაგრამ მე ხომ მწვრთნელის კარიერისათვის ვემზადები, ეს კი მოხეტიალე ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. არ მინდა იმის თქმა, რომ მაინცდამაინც მიყვარს ეს მოხეტიალე ცხოვრება, მაგრამ ფეხბურთი ხომ ერთადერთია, რაშიც მე კარგად ვერკვევი.

● ***ბიზნესი თქვენი საქმე არ არის?***

— ასეთი წინადადებები, უბრალოდ რომ ვთქვათ, მაშინებს. ახლა უკრაინაში ბიზნესის თვალსაზრისით ისეთი მდგომარეობაა, რომ სულ სწრაფად შეიძლება დაკარგო ყოველივე ის, რაც მოაგროვე.

ოლეგ პროტასოვი 34 წლისაა. დიდ ფეხბურთში იგი ჯერ კიდევ 1975 წელს გამოჩნდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“. მას შემდეგ თამაშობს და თამაშობს. ჯერჯერობით ასე გააგრძელებს...



*ოლეგ პროტასოვი (მუქ მაისურში)*

# ჯერ ყველაფერი წინ არის

*(პირველი გვერდიდან)*



ტურის წინ საქართველოს ნაკრები III-VI ადგილებს იყოფდა, მაგრამ მეექვსეში დამარცხდა აშშ-ს ძლიერ გუნდთან — 1,5:2,5. სამი შეხვედრა ამ მატჩში ყაიმით დასრულდა, მაგრამ გია გიორგაძე დამარცხდა და საქართველოს ნაკრებმა უკან დაიხია. ახლა მას 15,5 ქულა აქვს.

დღეს ელისტაში იწყება ფიდეს მორიგი კონგრესი, რომელზეც არაერთი ორგანიზაციული საკითხი გადაწყდება, კონგრესი მიანიჭებს დიდოსტატთა და საერთაშორისო ოსტატების წოდებებს, ხოლო 9 ოქტომბერს მოეწყობა ფიდეს პრეზიდენტის არჩევნები. ახლანდელ პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს სერიოზული ოპონენტები ჰყავს.

# „რა ხდება, ბოლოს და ბოლოს, ფიდეში?“

**ამ დღეებში მსოფლიო ჩემპიონმა (ფიდეს ვერსიით) ანატოლი კარპოვმა უპასუხა ჟურნალისტის რამდენიმე შეკითხვაზე.**

● *როგორ ფიქრობთ, რა ხდება ახლა ფიდეში — „უკანასკნელი გაჩერებაა“ თუ შეიძლება წინ წაწევა?*

— მე ვთვლი, რომ მსოფლიო საჭადრაკო ფედერაცია გზის ძალიან სახიფათო მონაკვეთზე დგას, თუმცა მას გაისად 75 წელი შეუსრულდება, მსოფლიო ჩემპიონატებს კი 50 წელია ატარებს. მაგრამ თუ ფიდე ასე მოექცევა ჩემპიონებს, შესაძლოა, დადგეს ის დრო, როცა იგი ამ წოდებას დაკარგავს.




● *ვერაფერი დამაიმედებელი პროგნოზია...*

— თქვენ, ეტყობა, იცით, რომ მე კონფლიქტი მაქვს ილიუმჟინოვთან იმიტომ, რომ იგი ციკლის მიმდინარეობის შუაგულში ცვლის წესებს, და, მე ფაქტობრივად მაიძულებს მსოფლიო ჩემპიონის წოდება ერთ წელიწადში ორჯერ დავიცვა. ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა, და ვფიქრობ, არც შემდეგ მოხდება. გარდა ამისა, ილიუმჟინოვმა ცალმხრივად შეამცირა საპრიზო ფონდიც, თუმცა, სრულ გარანტიას იძლეოდა. მე იმას არ ვამბობ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების სისტემაც რეფორმირებულია — მსოფლიო ჩემპიონს, გაუგებარია, რომელ ეტაპიდან აიძულებენ თამაშს. ძალიან ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ტაისონმა ან ჰოლიფილდმა რომელიმე შეჯიბრების 1/32 ან 1/16 ფინალიდან დაიწყონ შერკინება.

ის სისტემა, რომელიც ახლა არის მიღებული, ძალიან ზრდის შემთხვევითობის ელემენტს. საბოლოო ანგარიშით, ჩვენ, მსოფლიო ჩემპიონები (მე ზოგადად ვლაპარაკობ) ვერ დავეთანხმებით იმას, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც ისევე იაფფასიანი გახადონ, როგორც ეს საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას დამართეს. ჩვენ ხომ დღეს ყველა საერთაშორისო დიდოსტატის სახელიც კი არ ვიცით.

● *იმის ფონზე, რაც ახლა ხდება, შეიძლება თუ არა, ოპონენტების გაერთიანება საერთო ამოცანების გადასაწყვეტად?*

— ვის გულისხმობთ?

● *კარპოვს, კასპაროვს, კრამნიკს...*

— კრამნიკი ხომ მსოფლიო ჩემპიონი არ არის. რა გაერთიანებაზეა ლაპარაკი? საუკეთესო მოჭადრაკეები კი ყოველთვის დაინტერესებულნი არიან, რომ მსოფლიო ჩემპიონი უძლიერესი გახდეს. რაც შეიძლება ნაკლები შემთხვევითობა უნდა იყოს. ამას წინათ, სამარანჩს შევხვდი და ვუთხარი, რომ შეიძლება ახლა ათ წელიწადში 10 ახალი მსოფლიო ჩემპიონი გავიცნოთ. ეს მაშინ, როცა 112 წლის მანძილზე სულ 13 მსოფლიო ჩემპიონი იყო.

# რიგში ჩადექით მოჭიდავეებო, მოკრივეებო, მოფარიკავეებო, ძალოსნებო... – ბაკურიანში სპორტდარბაზი კეთილმოეწყო

*(მეორე გვერდიდან)*


ვიდრე თოვლი მოვა...

**წაქაძე და ბექან ქუმარიტაშვილი მოხტუნავეებს ავარჯიშებენ, გრიშა ასლანიანი — სამთო მოთხილამურეებს. ისინი უსასყიდლოდ გულიანად მუშაობენ, მართლა ნამდვილი პატრიოტები არიან. ვეტერანი სპორტსმენები შეჯიბრებებსაც უტარებენ მოზარდებს, თამაშდება პრიზები, ასე რომ, ტრადიციას ვინარჩუნებთ — აგრძელებს საუბარს ბაკურიანის გამგებელი. მან ისიც გვითხრა, რომ ახალი არჩევნების შემდეგ შეადგენენ ბაკურიანის სპორტულ კალენდარს, რაც მწვრთნელებს დროულად დაურიგდებათ. გათამაშდება ვეტერანთა სახელობის ჯილდოები. სპონსორობას კი საოჯახო სასტუმროები და კომერციული სტრუქტურები გაწევენ. აღდგება ტრადიციული შეჯიბრებები, მათ შორის „ლელოს“ პრიზზე, სეზონი კი ბაკურიანობით დაიხურება. როგორც წესი, ამ დღესასწაულში არა მხოლოდ ბაკურიანის, ქვეყნის სვა რეგიონების მოთხილამურეებიც მონაწილეობენ...**

თ. თომაშვილი, **„ლელოს“ სპეც. კორ., ბაკურიანი**

## „ტოტო-ლოტო“

*4 ოქტომბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამესამე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია: **11. 13. 17. 18. 33. 36**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

5 ციფრი – საპრიზო ფონდი 933.70 გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

4 ციფრი – 14.80 ლარი.

3 ციფრი – 1.30 ლარი.

**„სუპერ-7“**-ის მომგებიანი ციფრებია: **5. 1. 6. 0. 0. 1. 6.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 11 ოქტომბერს, ჯეკ-პოტი **56.775** ლარი.

*ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!*

**„ჯეკ-პოტი“ 56.775 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი




**6 ოქტომბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (22.40). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა. „ცუგი“ (შვეიცარია) — „დინამო“ (მოსკოვი) — 21.55. ***НТВ.*** მხატვრული ტანვარჯიში (0.35). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (7.05; 15.10). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (8.15; 22.40). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (10.10; 21.45). ამერიკული ფეხბურთი (12.35; 18.45). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „რეალი“ (მადრიდი) (13.05). ველოსპორტი (16.15). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.15). ველოსპორტი (23.10). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.10; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** „ოლიმპიური თამაშები“ (10.30). საცხენოსნო სპორტი (11.00; 15.30). ველოსპორტი (16.15). ჩოგბურთი (20.00), კრივი (23.30). ფეხბურთი (0.30). მოტოსპორტი (2.30). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40).

**7 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „გოლი“ (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. ACT.*** სპორტი ყოველ დღე (14.30; 21.40). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთის გაკვეთილი (7.05; 15.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (8.05). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.10). ამერიკული ფეხბურთი (9.40). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (12.30; 0.20). ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგა. „დინამო“ (კიევი) — „ლანსი“ (საფრანგეთი) — 13.00. კრივი (15.25). ველოსპორტი (16.45). ფარიკაობა (18.55). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (22.00). კალათბურთი (22.50). ჰოკეი (0.50). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (10.30). კარტინგი (12.00). ჩოგბურთი (13.30). ველოსპორტი (14.00; 16.30; 16.45). აფროსნობა (16.00). ცხენოსნობა (18.45). სუმო (23.30). კრივი (0.30). მოტოსპორტი (1.30).

**8 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. REN TV.*** სპორტკურიერი (20.45; 23.50). ***ACT.*** სპორტი ყოველ დღე (14.30). ***НТВ плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (7.05; 15.10). ფეხბურთი (8.15). კალათბურთი. ქალები (9.15). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (11.05; 0.20). ავტოსპორტი (12.10; 15.25). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერნი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (13.00). ველოსპორტი (16.00). ჩოგბურთი (18.55). ფეხბურთი (19.25). კალათბურთი (19.55). მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში (21.50). ჩოგბურთი (0.50). ფეხბურთი (1.10). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ევროსპორტი. ცხენოსნობა (10.30; 15.00; 18.45). ველოსპორტი (11.30; 12.00; 17.00). აფროსნობა (19.30). ჩოგბურთი (20.00). სუმო (23.30). კრივი (0.30). ფეხბურთი (1.30).

**9 ოქტომბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი“ (21.20). ***II არხი.*** „რაგბი“ (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45, 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***НТВ.*** საფეხბურთო კლუბი (18.00). ***RENTV.*** „სპორტკურიერი“ (20.45). ***ACT.*** სპორტი ყოველ დღე (14.30; 21.40). ***НТВ плюс спорт.*** საჭადრაკო გაკვეთილი (7.05). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (7.45; 0.00). კალათბურთი. ევროლიგა (8.15). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ბენფიკა“ — „ეინდჰოვენი“ (9.50). ფეხბურთი ევროპაში (12.25). ველოსპორტი (14.30). კრივი (19.15). მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში (21.15). ავტოსპორტი (0.30). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30). ველოსპორტი (11.00; 15.30). პენტატლონი (13.30). მოტოსპორტი (14.30). ჩოგბურთი (19.00). სუმო (23.30). კრივი (0.30). ფარიკაობა 2.00). ექსტრემალური სპორტი (3.00).

**10 ოქტომბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „ავტოსპორტი“ (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (19.45). ***OPT-1. ფეხბურთი.*** რუსეთი — საფრანგეთი (19.50). ***ТВ центр.*** ფეხბურთი დიალოგებში (13.45). ***REN TV.*** სპორტული მიმოხილვა (19.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (14.30). ***НТВ плюс спорт.*** მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე (9.40; 0.30). ამერიკული ფეხბურთი (10.10). დიდი რინგი (10.40). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (12.55). ველოსპორტი (15.55). ფარიკაობა (19.00). ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი (21.45). „ფიფას ჟურნალი“ (1.00). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ექსტრემალური სპორტი (10.30). ველოსპორტი (11.00; 16.00; 20.30). ჩოგბურთი (17.00). ცხენოსნობა (21.00). სუმო (22.00; 3.30). ფეხბურთი (0.30). ფარიკაობა (2.30).

**11 ოქტომბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** პროფესიონალ მოჭიდავეთა და მოკრივეთა ორთაბრძოლები (17.00). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი“ (9.45). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (15.15). „ვარსკვლავები“ (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***ACT.*** სპორტი პლანეტაზე (14.30). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი (9.30). ველოსპორტი (12.00). მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში (19.30). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (22.05). კრივი (0.10). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30 23.00). ველოსპორტი (12.30). ჩოგბურთი (19.00). ცხენოსნობა (21.00). კრივი (22.00; 3.00). სუმო (1.00). ფარიკაობა (2.00).

## საჭადრაკო ამოცანა

ნ. ჩისტიაკოვი
(რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კe8!
1. ...მფd8 2. მფd6 მფc8 3. ეb1 მფd8 4. ეb8X. 1. ...მფ:e8 2. მფe6 მფd8 3. ეc1მფe8 4. ეc8X. 2. ...მფf8 3. ეg1 მფe8 4. ეg8X. 1. ...მფf8 2. მფf6 მფg8 3. კg6 მფf8 4. ეe8X.

## ფოტოგამოცანა








გაიხსენეთ რომელი მატჩების დროს არის გადაღებული ეს ფოტოსურათები

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
მარცხნიდან – 1. ფრანსისკო მორეირო (იტალია), 2. დულიო დავინო (მექსიკა), 3. ქერიმ ბაგერი (ირანი).

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე